ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 2018 №217 (7762) ფასი: 60 თეთრი

## თემურ ჭყონია: „ვინც მარიხუანის ბიზნესს დაიწყებს, ქვეყანაში დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს“

გვ.5



# ეკლესია მთავრობის წინააღმდეგ



## მეუფე იაკობი: „როგორც კი კანაფის პლანტაციას გააშენებთ, ეკლესია დაგიპირისპირდებათ“

„იგეგმება ეკლესიის ორად გახლეჩა“





## გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილი ჩუგოშვილმა კორუფციაში დაადანაშაულა“

## მაია რჩეულიშვილს და რუსუდან კერვალიშვილს ციხიდან უშვებენ?



გვ.4





## ანზორ აბრალავა: „ქვეყანაში აპოკალიფსური სიტუაციაა“

„ნარკომანიზაციას და ნარკოტიზაციას ბევრი ჯგუფი და პარტია ერთობლივად ახდენს“

გვ.4

**სამართალი** გვ.7

ძალადობა 6 თვის ტყუპებზე — მოძალადე ძიძას პატიმრობა შეეფარდა



პროკურატურამ ლევან ყიფიანისა და ზაზა ოქუაშვილის ჩანაწერზე გამოძიება დაიწყო



პროკურატურა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან მიმართებაში გამოძიებას აწარმოებს

**ეკონომიკა** გვ.5



„მარიხუანას ბაზარზე შესვლა დიდ კონკურენციაში ავტომატურად ჩაბმას გულისხმობს“



საჯარო სამსახურში იმ პირთა დასაქმებაზე, რომელთაც ჯარი არ გაუვლიათ, შეზღუდვები წესდება გვ.6



ლევან დავითაშვილი: „კანაფის წარმოება აგრონომიულ ცოდნას მოითხოვს“ გვ.5

ISSN 1987-9385

7 კიევში „ქართული ლეგიონის“ პრესოფიცერი, ისრაელის მოქალაქე ბარ ბონენი მოკლული იპოვეს

6 პიროტექნიკის არასრულწლოვანისთვის მიყიდვა, შესაძლოა, აიკრძალოს და ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს

7 გახარია: „საგამოძიებო კომისიის დასკვნა „პოლიტიკური“ და „სამართლებრივად სუსტია“

8 მოსკოვის საპატრიარქო შესაძლოა იზოლაციაში აღმოჩნდეს

# „ივანიშვილი ჩუგოშვილმა კორუფციაში დაადანაშაულა“





## „იგეგმება ეკლესიის ორად გახლეჩა“

## გიგლა ბარამიძე: „ენა, მამული, სარწმუნებიდან კანაფი, კაზინო, ბორდელამდე“



**რას უმზადებს „ოცნება“ საქართველოს, გავხდებით თუ არა მეორე ავღანეთი, რატომ დაადო ივანიშვილს ხელი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, რატომ უნდა დაიდგას თბილისში რვა სული ქურდის ძეგლი, – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**

შორენა მარსაგიშვილი

**გიგლა ბარამიძე:**

– გასულ წელს ქართული ეკლესიის წინააღმდეგ დაიგეგმა სპეცოპერაცია სახელწოდებით ციანიდი. ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ ეკლესიაში მრევლს აღარ ევლო. ასეთივე სპეცოპერაცია ტარდება ახლა საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც სახელად კანაფი ჰქვია.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც შსს-მ დაიწყო კამპანია „არა ჩადებას“, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვისაუბრე, თუ რა გაგრძელება ექნებოდა ამას. გახსოვთ, გითხარით, რომ ამას მოჰყვებოდა ლეგალიზაციას, რაც საბოლოოდ ნარკოტიკების რეალიზაციით დასრულდებოდა.

მაშინაც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ სპეცოპერაციის ფინალური ეტაპი იქნება ნარკოტიკის წარმოება და სპეციალური მაღაზიების გახსნა.

გამოესკობარებული „ქართული ოცნების“ ოცნება სწორედ ეს არის და ამათი წყალობით ენა, მამული, სარწმუნოება კანაფი, კაზინო, ბორდელით შეიცვალა.

ამ დროს გამოდის ეს ვინი პუხივით გაჯგიმული ზორბა პრემიერი და ყველას თავს გვამადლის. გვეუბნება, რომ არც ერთი გრამი ნარკოტიკი საქართველოში არ გაიყიდება და მთელი პროდუქცია უცხოეთში გავა.

სახედაკარგული ხელისუფლება კანაფის წარმოებაზე საუბრობს მაშინ, როდესაც გლეხებს კარტოფილის, ყურძნის თუ თხილის ექსპორტზე გატანაში არ ეხმარებიან. ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანა დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა და „ოცნებამ“ წამლის ბარიგობა დაიწყო.

***– თავს ბარიგებად სულაც არ თვლიან და ამბობენ, რომ აქ წარმოებული კანაფი სამკურნალოდ იქნება გამოყენებული.***

– სულ მაგაზე დარდობენ. როდის აქეთია თავს იკლავენ უცხოური ფარმაცევტიკის განვითარებისთვის? ქართველი ხალხის ბედის ირონიაა, რომ ის სამსახური, რომელიც უნდა ებრძოდეს კანაფის გავრცელებას, იმ სამსახურს შემოაქვს კანონპროექტი კანაფის წარმოების შესახებ. ქვეყანაში, სადაც 100 საწარმოც კი ვერ აუწყვიათ, კანაფის პლანტაციები მოუნდათ.

ზორბა ბიჭი, პრემიერი ბახტაძე გვპირდება, რომ საქართველოში ამ კანაფიდან ერთი გრამიც არ გაიყიდება. როგორ დავუჯეროთ იმ მთავრობას, რომელმაც ფსიქოტროპული წამლებით ვაჭრობის პრობლემა ვერ გადაჭრა. თბილისის ცენტრალურ უბნებში მდებარე აფთიაქებში, დახლქვეშიდან დღისით-მზისით უპრობლემოდ იყიდება ფსიქოტროპული ნივთიერებები.

ამის გარდა, დღემდე ვერ აღკვეთეს უცხო ქვეყნებიდან საქართველოში სხვადასხვა სახის ნარკოტიკების შემოტანა.

საპატრიარქოს თუ არ დაუჯერეს და ხალხის აზრი არ გაითვალისწინეს, დაიმახსოვრეთ, რომ საქართველოში მოყვანილი ნარკოტიკების ნაწილი უცხოეთში გაიყიდება, ნაწილი უკან – საქართველოში შემოტრიალდება.

დამისახელონ ქვეყანა, რომელიც ნარკოტიკების გაყიდვით გამდიდრებულა. მიუხედავად იმისა რომ ამ ბიზნესს მილიარდები მოაქვს, ის ქვეყნის ბიუჯეტში არ შევა. რამდენიმე ოჯახი კი ძალიან დიდ ფულს იშოვის.

***– ნარკოტიკების წარმოებას რომ ქვეყნის ბიუჯეტისთვის ხეირი მოჰქონდეს, ავღანეთი უმდიდრესი ქვეყანა უნდა იყოს.***

– ნარკოტიკების წარმოება რომ ქვეყნისთვის სასარგებლო იყოს, ავღანეთთან ერთად პაკისტანი და კოლუმბიაც მდიდარი ქვეყნები იქნებოდნენ. რაღაც პერიოდი ავღანეთში მომიწია ცხოვრება და კარგად ვიცი, რა პრობლემაა ეს.

მთელი ნატოს ჯარები არიან ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული, მაგრამ ეს სენი ვერ დაამარცხეს. თავის დროზე ადგილობრივი გლეხები ოპიუმის წარმოებაზე შესვეს. ახლა მილიონიან გრანტებს აძლევენ ოჯახებს იმისთვის, რომ მათ ოპიუმის პლანტაციები დაწვან და სხვა კულტურები მოიყვანონ.

ამ გლეხების დიდი ნაწილი მილიონიან გრანტებზე უარს ამბობს იმიტომ, რომ ოპიუმს მათთვის უზარმაზარი მოგება მოაქვს.

იმ ქვეყნის ხელისუფლების რა ვთქვი შვიდ ბრუნვაში, რომელიც ბიუჯეტის შევსებას ნარკოტიკების წარმოებით და რეალიზებით აპირებს.

**თბილისში, ყოველი მესამე ბენზოგასამართი სადგურის უკან ბორდელებია. ოფიციალურად მათ რესტორნებს უწოდებენ, მაგრამ შიგნით რომ შეხვალ, სულ სხვა სიტუაციაა – შემოგთავაზებენ ნებისმიერი სახის საქონელს ადამიანის სახით. ჩინელი გინდა, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ყველა ეროვნების სექსმუშაკი ყავთ.**

კიდევ ერთხელ გეუბნებით, არ შეივსება ჩვენი ბიუჯეტი. სამაგიეროდ რამდენიმე ოჯახი იშოვის მილიარდებს.

თუ ასეთი კარგია ბიუჯეტისთვის ნარკოტიკები, მაშინ კანაფზე ნუ გავჩერდებით და ჰეროინის წარმოებაც დავიწყოთ და მთელ მსოფლიოში გავყიდოთ. მსოფლიო ბაზარზე ძალიან ძვირია ადამიანის ორგანოები და ბარემ ამითაც დავიწყოთ ვაჭრობა.

მონებით ვაჭრობაც სარფიანი საქმეა და ამ სფეროშიც ვცადოთ ბედი. ბავშვებით ვაჭრობასაც დიდი მოგება მოაქვს. იარაღის კონტრაბანდაც შემოსავლიანია. მოდი და გავხდეთ ანკლავი (საითკენაც უკვე მივექანებით), სადაც კეთდება დიდი ფული, მაგრამ ხალხი არის გაღატაკებული.

***– ანკლავამდე ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ კავკასიის ბორდელის სტატუსი კი დამსახურებულად მოვიპოვეთ.***

– უკვე დიდი ხანია ასე მოიხსენიებენ საქართველოს. ცოტა ხანში პროსტიტუციის ლეგალიზებასაც მოახდენენ და ბიუჯეტში თანხებს ბორდელებსაც შეატანინებენ. დღეს საქართველოში პროსტიტუცია ლეგალიზებული არაა, მაგრამ ქვეყანაში ასეულობით ბორდელია.

თბილისში, ყოველი მესამე ბენზოგასამართი სადგურის უკან ბორდელებია. ოფიციალურად მათ რესტორნებს უწოდებენ, მაგრამ შიგნით რომ შეხვალ, სულ სხვა სიტუაციაა – შემოგთავაზებენ ნებისმიერი სახის საქონელს, ადამიანის სახით. ჩინელი გინდა, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ყველა ეროვნების სექსმუშაკი ყავთ.

ამხელა ბორდელებს და სექსმუშაკებს ვერ ამჩნევენ და თურმე იმას გააკონტროლებენ, რომ ნარკოტიკები არ გაიყიდოს. მივმართავ პრემიერს, გათენდა და გამოფხიზლდი. იქნება მიხვდე, რა შარში ხარ გახვეული.

ადამიანს ოდნავი ინტელექტი მაინც თუ აქვს, როგორ შეიძლება კანაფის წარმოებას დაუჭირო მხარი. სამარცხვინო იყო გამოესკობარებული „ოცნების“ დეპუტატების განცხადებები, რომლებმაც გაიგეს, რომ მათ მამა-მარჩენალს კანაფის მიმართ ინტერესი აქვს.

ჩამწკრივდნენ და კანაფის სასარგებლო თვისებებზე საუბრობდნენ. ერთმა ქალმა დეპუტატმა ის გვითხრა, რომ კანაფი სოფლის მეურნეობის კულტურაა.

***– ეგ ქალბატონი მთელ საქართველოს სიგარეტის მოწევას უკრძალავს და კანაფი ლობიოს და პომიდორს შეადარა.***

– ვაზის ქვეყანაში რომ კანაფს კულტივირებას უკეთებდე, ძალიან დაბალ დონეზე უნდა იყო. არის კიდევაც დაბალ დონეზე პარლამენტი. დეპუტატები ისე არიან შემძვრალი ერთ კაცში, რომ იქედან გამოსვლასაც კი არ ფიქრობენ. ბარემ ადგნენ და ჰიმნად ქცეული „შენ ხარ ვენახი“ „შენ ხარ კანაფად“ გადააკეთონ. შეუძლიათ გერბიც შეცვალონ და კანაფის ფოთოლი დაახატონ და ასეთი წარწერაც გაუკეთონ „ძალა კანაფშია“.

ზემოთაც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ როგორც ციანიდი იყო საპატრიარქოს წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცოპერაცია, ასევე კანაფის წარმოება იქნება სპეცოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ.

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები – ციანიდის სპეცოპერაციის მიზანი ქართული ეკლესიის გახლეჩაა. როგორც უკრაინაში გახლიჩეს ეკლესია, ისე აპირებენ საქართველოშიც.

კაშიას ფერადი სამკლაურის ამბავიც ტყუილად არ არის დადგმული, მაგრამ ეს მეათეხარისხოვანია იმ პრობლემებთან, რაც ახლა ჩვენ წინაშეა.

იქნება დაავიწყდა ხელისუფლებას, რომ ტერიტორიებია დასაბრუნებელი, იქნება აღარ ახსოვთ, რომ 400.000 დევნილი ჰყავს საპატრონო. ერს საპატრონო და უკან დასაბრუნებელი ჰყავს 1.5 მილიონი თანამოქალაქე. აღარაფერს ვამბობ დემოგრაფიულ პრობლემაზე.

გაეროს მონაცემების მიხედვით, თუ ქართველების შობადობა ასეთ ტემპებში გაგრძელდა. 50-60 წელიწადში ქართველები საქართველოში უმცირესობაში ვიქნებით.

ასეთი პრობლემების წინაშე ვდგავართ და ესენი კანაფზე, ბორდელებზე და ერთნაირსქესიანთა ქორწინებებზე ოცნებობდეს. ამაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოს.

ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ოკუპაციაზე, მაგრამ ხელისუფლება თავის ხალხს ოკუპაციაზე მეტს არ უშვრება? ოკუპაციას მხოლოდ იმიტომ ახსენებენ, რომ ხალხის ყურადღება გადაიტანონ.

ისევ კანაფს დავუბრუნდები და გაგახსენებთ რა ხდებოდა ჩინეთში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს. მილიარდიანი ჩინეთის იმპერატორმა ევროპელ ვაჭრებს ინდოეთიდან ოპიუმის შეტანა აუკრძალა.

თავიდან ვაჭრებმა ჩინეთის იმპერატორი დაარწმუნეს, რომ ოპიუმის წარმოებას თუ დაიწყებდა, ქვეყნის ბიუჯეტი შეივსებოდა და ჩინეთი თანამედროვე შეიარაღების შეძენას მოახერხებდა. დაითანხმეს იმპერატორი და ჩინეთში ოპიუმის უზარმაზარი პლანტაციები მოაშენეს.

მოხდა რა? მთელმა გლეხობამ ბრინჯის წარმოებაზე უარი თქვა და მიწები იჯარით მისცეს ოპიუმის მწარმოებლებს. მთელი ჩინეთი ჩაის სმის ნაცვლად პლანის მოწევაზე გადავიდა.

დაიქცა ლამის ქვეყანა. ჩინეთის იმპერატორი იძულებული გახდა ბრძანება გამოეცა და ჯარი გამოეყვანა. ჯარის გამოყენებით გაანადგურა პლანტაციები და ნარკოტიკების მარაგები. ამის საპასუხოდ მთელი დასავლეთი გაერთიანდა და ჩინეთს ომი გამოუცხადა.

ოფიციალურად ხომ ვერ იტყოდნენ, რომ ნარკოტიკების გამო იყო ეს ომი. ამიტომ თქვეს, თითქოს ჩინეთი დასავლეთს თავისუფალ ვაჭრობაში უშლიდა ხელს და ადამიანის უფლებებს არღვევდა. მოხდა ორი ომი ზედიზედ და ორივე ომში ჩინეთი დამარცხდა.

ამხელა ჩინეთი კინაღამ გაანადგურა ნარკოტიკების წარმოებამ და ჩვენ რა მოგვივა, ხომ წარმოგიდგენიათ, მაგრამ ეს ხელისუფლებას არ ადარდებს. მათთვის მთავარია მილიარდები. ამ ბიზნესს კი უზარმაზარი მოგება მოაქვს. ხელისუფლება ფულის გულისთვის ყველაფერზეა წამსვლელი.

დემოკრატიაზე და სიტყვის თავისუფლებაზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ დავინახეთ თუ რა ხდება ტელეკომპანია „იბერიასთან“ მიმართებაში. ყველა ჩვენგანმა მოისმინა ლევან ყიფიანის და ზაზა ოქუაშვილის საუბრის ჩანაწერი. ამ საუბრიდან ნათელი ხდება, რომ კორუფციულ გარიგებაზეა საუბარი. ტელეკომპანიის მფლობელს სთავაზობენ რაღაცის სანაცვლოდ, რაღაც თანხების გადახდას.

ამ საუბარს აწარმოებს სპორტის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი. ხელისუფლება როცა ასეთი ტონით ესაუბრება ბიზნესმენს, ცხადია, რომ საქმე კარგად არ არის.

მოვუწოდებ თბილისის მერიას, დედაქალაქის ცენტრში რვა სული ქურდის ძეგლი დაიდგას. ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც ქურდებივით ლაპარაკობენ. „იბერიის“ სკანდალზე საუბრისას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ დაადანაშაულა კორუფციაში.

იმის ნაცვლად, რომ ეს საქმე გამოიძიონ, კანაფის რეალიზაციაზე გველაპარაკებიან. ყველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ ამის შესახებ კანონპროექტს შსს ამზადებს, რომელიც რეალიზაციას უნდა ებრძოდეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეუფე იაკობი: „როგორც კი კანაფის პლანტაციას გააშენებთ, ეკლესია დაგიპირისპირდებათ“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში დაპირებული საწარმოები ვერ ააგუგუნეს, მაგრამ არაა გამორიცხული, მალე პლანტაციებში კანაფმა იშრიალოს. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მთავრობა კანაფის მოყვანას და მის რეალიზაციას გეგმავს.**

**„ოცნების“ მხარდამჭერები ამ ინიციატივის „გაპრავებისთვის“ კანიდან ძვრებიან. საზოგადოების დიდი ნაწილი და მათ შორის საპატრიარქო კანაფის აშრიალებას ეწინააღმდეგება.**

**საპატრიარქომ თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ, 12 სექტემბერს დააფიქსირა.**

## „საზღვრები ვერ დაგვიცავს და პლანტაციებს დავიცავთ, სადაც მილიარდების საქონელი იქნება?



**როდესაც შევალთ ნატო-ში და ევროკავშირში და ძლიერი დასაყრდენი გვეყოლება, მერე შეიძლება რაღაცებზე იფიქრო ადამიანმა. დღეს, როდესაც ასე გაჭირვებული ხარ და მარტო სიტყვას შეგვაშველებენ, არავინ იფიქროს, რომ ჩვენ გამო დიდი ქვეყნები ერთმანეთს ომს გამოუცხადებენ**

ბოდბელი ეპისკოპოსის, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის, მეუფე იაკობის შეფასებით, ექსპორტზე გასატანად სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნით საქართველოში მარიხუანის მოყვანა-წარმოება სარისკოა.

მისი თქმით, ძალოვანი უწყებები არ არიან იმდენად სანდონი, რომ მათ დაეკისროთ პლანტაციების დაცვა.

ეპისკოპოსის განცხადებით, საზღვრები ვერ დაგვიცავს და პლანტაციებს სულ ვერ დავიცავთ, სადაც მილიარდების საქონელი იქნება.

მისი აზრით, უცხოეთის ქვეყნები და რუსის ჯარი შეეცდებიან, რომ ნადავლი ხელში ჩაიგდონ.

ეპისკოპოსის განცხადებით, გარკვეულმა პირებმა ფულის დათვლა რომ იციან, ეროვნულ უსაფრთხოებაზე იფიქრონ.

– ეს ადამიანები ფიქრობდნენ ეროვნულ უსაფრთხოებაზე? ავღანეთს რა დამართა ნარკოტიკებმა, ვხედავთ, იმ სამკუთხედს საერთოდ, სირიაში რა ხდება, კოლუმბიაში რა ხდება?! ან ჯარი უნდა გვყავდეს ძლიერი, სამწუხაროდ, არ გვყავს. საზღვრები ვერ დაგვიცავს. გარეჯში ვიყავი, სანამ მონასტერში წავიდოდი, უდაბნოს მხარეს და ოფიციალურად ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის მესაზღვრეები დგანან. ეს ვერ დაგვიცავს და პლანტაციებს დავიცავთ, სადაც მილიარდების საქონელი იქნება? უცხოეთის ქვეყნები და ჩვენთან ახლოში მყოფი რუსის ჯარი არ შეეცდება, რომ ნადავლი ხელში ჩაიგდოს? მოდით, შევხედოთ ეროვნული უსაფრთხოების კუთხით. ფულის დათვლა რომ იციან, ეროვნულ უსაფრთხოებაზე იფიქრონ, როგორც ხალხზე, ასევე ტერიტორიებზე.

როდესაც შევალთ ნატო-ში და ევროკავშირში და ძლიერი დასაყრდენი გვეყოლება, მერე შეიძლება რაღაცებზე იფიქრო ადამიანმა. დღეს, როდესაც ასე გაჭირვებული ხარ და მარტო სიტყვას შეგვაშველებენ, არავინ იფიქროს, რომ ჩვენს გამო დიდი ქვეყნები ერთმანეთს ომს გამოუცხადებენ. როგორღაც უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, მაგრამ არა ნარკოტიკებით. ეკლესია დიდი ხანი დუმდა, ალბათ, ბევრმა იფიქრა, რაღაც პროცესები მიმდინარეობდა და დავსუსტდით, თუ ვინმეს აინტერესებს ჩვენი ძალა, არავის ვემუქრები, მაგრამ ნახავენ ჩვენს ძალას. ბოდიშს ვიხდი ასეთი საუბრისთვის, მაგრამ ჩემი ერის ღალატს არავის ვაპატიებ, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისივე თქმით, როგორც კი კანაფის პლანტაციას გააშენებთ, ეკლესია დაგიპირისპირდებათ.

– ერთი რამე იცოდეს სახელმწიფომ, კანაფის პლანტაციები თუნდაც სამედიცინო მოხმარების მიზნით, ამას რომ დააპირებთ, ეკლესია და ხალხი დაგიპირისპირდებათ. ეს იცოდეთ, – განაცხადა ქორეპისკოპოსმა.

ამასთან ეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ მარიხუანას მოწევის გამო ადამიანს არ უნდა იჭერდნენ, თუმცა გარკვეული ზომები უნდა არსებობდეს, რათა მარიხუანას მოწევა არ ხდებოდეს სამუშაო ადგილებზე და არსებობდეს შეზღუდვები.

პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიოს თქმით, დღეს ნარკომანია აღარ არის მხოლოდ ცალკეულ პირთა სნეულების გამოვლინება, ის მთელი საზოგადოების პრობლემად იქცა.

– მეტად მწვავე და აქტუალურია თემაა, რომლისთვისაც დღეს ჩვენ შევიკრიბეთ. არ დარჩენილა საზოგადოების არც ერთი ფენა, რომელსაც ბოლო პერიოდში ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული მოვლენები არ აღელვებდეს.

მოგეხსენებათ, ნარკომანია მემთვრალეობის უმძიმესი ფორმაა, რომლის თაობაზეც ეკლესიის წმინდა მამებს არაერთი გამონათქვამი აქვთ დატოვებული. მაგალითად, წმინდა ბასილი დიდი და წმინდა იოანე ოქროპირი წერდა, რომ თრობის ნება ადამიანს სულიწმინდას განაშორებს და ყოველგვარი ბოროტების საწინდარია და რომ არავინ ისე არ აღასრულებს ეშმაკის ნებას, როგორც მემთვრალე.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესაც არაერთხელ უთქვამს, რომ „კაცი, რომელიც კარგავს სულიწმინდის მადლს, კარგავს ყველაფერს ამ ქვეყანაზეც და მარადიულ ცხოვრებაშიც“. ნარკოტიკული თრობის ილუზიებში გაქცევის მთავარი მიზეზი გახლავთ სულიერი სიცარიელე და ცხოვრების აზრის დაკარგვა.

დღეს ნარკომანია აღარ არის მხოლოდ ცალკეულ პირთა სნეულების გამოვლინება, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემად იქცა. სამწუხაროდ, ამ მხრივ დამაჯერებელი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ სპეციალისტების აზრით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ნარკომომხმარებელთა რაოდენობით. შესაბამისად, მდგომარეობა ძალიან რთულია. ამ მძიმე ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა ყველა რისკის გათვლა და სპეციალისტების აზრის მაქსიმალურად გათვალისწინება.

კონსტიტუციის დღის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე მისმა უწმინდესობამ ბრძანა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ხალხს უნდა ემსახურებოდეს, – განაცხადა მეუფე შიომ.

❖ ❖ ❖

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მარიხუანას მოხმარების მავნე ზეგავლენისგან საზოგადოების (განსაკუთრებით მოზარდების) დასაცავად და სამედიცინო მიზნით, ექსპორტზე გასატანად კანაფის მოყვანა-წარმოების რეგულირებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოამზადა. აღნიშნული კანონპროექტი მთავრობას დღეს წარედგინა.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, მარიხუანას მოხმარება მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა, კერძოდ:

იკრძალება მარიხუანას მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სკოლების და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიაზე;

ნარკოტიკების მოხმარების მავნე ზეგავლენისგან მოზარდების დასაცავად, მარიხუანას მოხმარება აკრძალული იქნება 21 წლამდე ასაკის პირებისთვის;

ამასთან, 21 წლამდე პირის დაყოლიება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე იქნება სისხლის სამართლის დანაშაული;

მარიხუანას მოხმარება აკრძალული იქნება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას როგორც საჯარო მოხელეებისთვის, ისე კერძო სექტორში მომუშავე პირებისთვის;

მარიხუანას მოხმარებისთვის კანონპროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო უფლებების, მათ შორის გარკვეული პროფესიის ადამიანებისთვის პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას;

იზრდება სანქცია ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანას, მოხმარების პოპულარიზაციის ან რეკლამირებისთვის;

სისხლის სამართლის წესით დაისჯება სატრანსპორტო საშუალებების მართვა ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანას, კლინიკური ზემოქმედების ქვეშ.

კანონპროექტით არ შეცვლილა მარიხუანას ფლობის და გასაღების მიმართ რეგულაცია. მარიხუანას ფლობა და გასაღება კვლავ სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

რაც შეეხება კანაფის მოყვანა-წარმოებას სამედიცინო მიზნით ექსპორტზე გასატანად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების სულისკვეთებას. ასევე გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების (კანადა, ისრაელი, ჩეხეთი, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) პრაქტიკა, სადაც სამედიცინო მიზნით კანაფის მოყვანა-წარმოება ექსპორტისთვის დასაშვებია.

შესაბამისად, ახალი კანონპროექტის მიხედვით, სამედიცინო მიზნით კანაფის მოყვანა-წარმოება ექსპორტისთვის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ლიცენზირებადი საქმიანობა იქნება, ხოლო ლიცენზიის გაცემაზე და პირობების შესრულებაზე განხორციელდება მკაცრი კონტროლი დამოუკიდებელი სააგენტოს მიერ.

ასევე, მკაცრი ფინანსური სანქციები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნება გათვალისწინებული ლიცენზიის პირობების დარღვევისთვის. გარდა ამისა, მოყვანა-წარმოების პროცესში კონკურენციის შენარჩუნების მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს ლიცენზიის სხვადასხვა სახეებს, რაც გამორიცხავს მთლიანი საწარმოო ჯაჭვის რომელიმე კომპანიის მიერ მონოპოლიზაციას. მკაცრად იქნება განსაზღვრული პოტენციური ლიცენზიანტი იურიდიული პირის მიერ დასაკმაყოფილებელი უსაფრთხოების და სხვა პირობები.

აღსანიშნავია, რომ კანაფის სამედიცინო მიზნით მოყვანა-წარმოების რეგულირება ექსპორტზე გასატანად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო რეგულაციებს, კერძოდ, გაეროს კონვენციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი სრულ შესაბამისობაში მოდის ქვეყნის პოლიტიკასთან, რაც ნარკოტიკული საშუალებების გასაღებასთან მკაცრ ბრძოლას გულისხმობს.

# „გაზპრომი“ ე.წ. ცხინვალის რეგიონის გაზიფიცირებას იწყებს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რუსეთის მთავრობები შეთანხმდნენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სრული გაზიფიცირების პროცესის დაწყების თაობაზე.

სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2019 წლის დასაწყისში, ხოლო უახლოეს დღეებში – 14 სექტემბერს ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისია დაიწყებს მუშაობას კონკრეტულ საკითხებზე. სხდომის დროს დაიწყება გეგმის გაწერა, მათ შორის ტექნიკურ დოკუმენტაციაზე მუშაობა და კომპანია „Газпром _ Южная Осетия“-ის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობისთვის სტაბილური პირობების შექმნა.

გაზიფიცირების სანაცვლოდ, რუსული ენერგოგიგანტი სიმბოლურ ფასად (1 რუბლი) შეისყიდის ოსური მხარის წილს – 25%-ს, რის შედეგადაც ის გახდება ამ საწარმოს ერთადერთი მფლობელი.

„Газпром _ Южная Осетия“-ს მთავარი აქტივია გაზსადენი „დზუარიკაუ – ცხინვალი“, რომელიც აშენდა 2009 წელს. მისი გამტარუნარიანობა შეადგენს 252 მლნ. კუბურ მეტრს წელიწადში, რაც 7-ჯერ აღემატება ცხინვალის რეგიონის მოხმარებას იქ მდებარე რუსული სამხედრო ბაზის ჩათვლით.



ამ მხრივ ეს პროექტი წააგავს ცხინვალის და ვლადიკავკაზის შემაერთებელი გზის მასშტაბურ რეკონსტრუქციას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. აშკარაა, რომ ამხელა დანახარჯები არაა გათვლილი მხოლოდ 50 000 ადამიანის გადაადგილებაზე და ის აშკარად უმიზნებს ტრანზიტს.

გაზსადენის დატვირთულობა მთელი ეს წლები არ აღემატება შესაძლებლობების 15%-ს, ამიტომაც ის ვერასდროს დაფარავს მასზე გაწეულ ხარჯებს.

ამჟამად, „Газпром _ Южная Осетия“-ს დაპატრონება „გაზპრომს“ 2,5 მლრდ. რუბლი დაუჯდება – სწორედ ამდენი ღირს „სამხრეთ ოსეთის“ 200 სოფლის გაზიფიცირება. სხვათა შორის, მათი დიდი ნაწილი მდებარეობს მთებში, სხვადასხვა ხეობებში, სადაც სულ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს.არსებობს აზრი, რომ გაზის გაყვანის შემთხვევაში მთის სოფლებში დაბრუნდება მოსახლეობა. თუმცა ეს მოსაზრება მცდარია – მთელს მსოფლიოში მთიელები ჩამოდიან ბარში და არა პირიქით. არავინ არ დაბრუნდება მიყრუებულ მთის სოფლებში მხოლოდ იმის გამო, რომ იქ გაჩნდება ბუნებრივი აირი.

ცალსახაა, რომ მილსადენის აშენება იმისთვის, რომ რამდენიმე ოჯახმა მიიღოს გაზი – ძალიან ძვირი სიამოვნებაა და დანახარჯებს აანაზღაურებს ცხინვალის მოსახლეობა – „გაზპრომმა“ უკვე დააანონსა, რომ პროექტის რეალიზების შემდეგ გაზი „სამხრეთ ოსეთში“ გაძვირდება. სავარაუდოდ, ის იქნება უფრო ძვირი, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.

ამ მხრივ გაზსადენის მშენებლობის ეკონომიკური მიზანშეწონილება დგას ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ.

არგუმენტები სრული გაზიფიკაციის სასარგებლოდ ამ დღეებში გამოთქვა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის“ წარმომადგენელმა ალან ჯუსოევმა. მისი თქმით, ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, რესპუბლიკაში 80%-ით შემცირდება ტყის გაჩეხვა.

თუმცა, ამავე დროს უპასუხოდ რჩება კითხვა – რა მოგება უნდა ნახოს ამ უკიდურესად წამგებიანი პროექტით რუსულმა მხარემ?

სავარაუდოდ, ამ პროექტის მთავარი ასპექტი იგივეა, რაც ყველა რუსულ პროექტში – ფულის ათვისება – როგორც „გაზპრომისთვის“, ასევე ცხინვალის ადმინისტრაციისთვის, რომელიც მიიღებს თანხების ნაწილს შესყიდვებისთვის.

თანაც ეს ფინანსები იქნება პირადად პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის განკარგულებაში, შესაბამისად ესაა დიდი ფინანსური რესურსი მის ხელში – რაც ძალიან მნიშვნელოვანია კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნებისთვის.

რუსეთისთვის კი ეს არის ზემოქმედების კარგი საშუალება ცხინვალის ელიტაზე, რომელიც ყოველთვის მზადაა იშოვოს დიდი ფული რესპუბლიკის გაზიფიცირებაზე.

მთელს ამ სიტუაციაში ყველაზე ნაკლებად ექცევა ყურადღება იმას, რაც ნორმალურ ქვეყანაში წესით პირველ ადგილზე უნდა იყოს – პროექტის ფინანსურ მომგებიანობას.

კრემლი ისევ ყრის ფულს ჰაერში პოლიტიკური ინტერესების გამო.

ekhokavkaza.com

# სანზორ აბრალავა: „ქვეყანაში აპოკალიფსური სიტუაციაა“

## „ნარკომანიზაციას და ნარკოტიზაციას ბევრი ჯგუფი და პარტია ერთობლივად ახდენს“

მარიამ მჭედლიშვილი

ადრე დაწყებული მითქმა-მოთქმა საქართველოში ნარკოსაწარმოების პერსპექტივების შესახებ გამართლდა. მედიცინისა და პარფიუმერიის მიზნებით შენიღბული მარიხუანის წარმოება და ამასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების მიღება დღის წესრიგში დგას. ამაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას

***– რამდენი წელია, გაიძახით, რომ ქვეყანაში მიზანმიმართულად ხდება ნარკომანიის პოპულარიზაცია. ქართული მარიხუანის ექსპორტი წინა წლებში მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო..***

– ეს, მართლაც, კატასტროფული ინიციატივაა. ის მოაყოლეს საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებებს. როცა ქვეყნის ნარკომანიზაციას ვეხებოდი, იქვე ვამბობდი, რომ ხდება ასევე პროსტიტუციის და ყველანაირი კრიმინალის პოპულარიზაცია. ამ სამი თემის – ნარკოტიკების, პროსტიტუციისა და კრიმინალის რეკლამირებაში მხოლოდ ერთ სეგმენტს არ მიუძღვის ბრალი. ნარკომანიზაციას და ნარკოტიზაციას, პროსტიტუციის გავრცელებას და ყველა სახის კრიმინალის ხელშეწყობას ბევრი ჯგუფი და პარტია ერთობლივად ახდენს. მათი ერთობლივი ბინძური ამოცანების შესრულება მიგვიყვანს სახელმწიფოს ნგრევამდე. ნარკომანიის რეკლამირება კარგა ხნის წინ დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელეს თავი ტელევიზიებმა. ამის ავანგარდში სააკაშვილის რუპორი „რუსთავი 2“ იდგა.



***– სააკაშვილის განცხადებით, ივანიშვილი ცდილობს საქართველოს ნარკოჰაბად გადაქცევას..***

– სააკაშვილს ამ თემაზე ხმა არ ამოეღება. 2003 წელს, როცა ეგ ე.წ. რევოლუციის დროს პარლამენტში შემოვარდა, დეპუტატი ვიყავი. შემოვარდნილებმა ავეჯი დალეწეს და ნარკოტიკები მოიხმარეს. მაგათი ნახმარი შპრიცებით და მორფის ამპულებით იყო მოფენილი საკანონმდებლო ორგანო. ამის გამო უწოდა ელიზბარ ჯაველიძემ იმ გადატრიალებას „შპრიცების და მორფინისტების რევოლუცია“. იმ გამანადგურებელ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას კრიმინალის, პროსტიტუციისა და ნარკოტიკების ბუნაგად აქცევს, ყველა ერთად ატარებდა და ატარებს. ამაში გარეული არიან ასპარეზზე მყოფი პარტიები, ტელევიზიები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

***– ჩვეულებრივი მოქალაქეები მარიხუანის შესაძლო მოყვანა-ექსპორტზე უკვე ბობოქრობენ. ამ საკითხზე ხალხის ქუჩაში გამოსვლებიც მოსალოდნელია.***

– ეს მოსალოდნელია ნორმალურ, ზნეობრივ საზოგადოებაში. ჯანსაღი საზოგადოება ამაზე არ გაჩუმდებოდა. საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ამ თემებს მიეჩვია. ნარკომანიის დიდი მასშტაბები, ნარკოტიკების წარმოება ხალხს არ აკვირვებს.

***– გამოდის, რომ ვინც ნარკომანიზაციას ხელს უწყობდა, შედეგისთვის მიუღწევია და ხალხის მენტალიტეტიც შეუცვლია..***

– ძალიან ღრმად არის ეს მანკიერება შესული. ხომ ხედავთ, ნარკოტიკების გამსაღებლებს შორის არიან სახელმწიფო მოხელეები. ბევრი ჩინოსანი სახელმწიფოს, მის განვითარებას, კულტურას, ადამიანების ნორმალურ ყოფას არაფრად აგდებს. მათთვის ეს საკითხები უცხოა. ჰიტლერი იმუქრებოდა, რომ კაცობრიობას სინდისისაგან გაათავისუფლებდა. ჩვენ სწორედ მორალისაგან თავისუფალი საზოგადოება გავხდით.

***– აქედან გამოსავალიც უნდა არსებობდეს..***

– არ ვიცი, რა შეაჩერებს უზნეობის ამ მორევს. ამას მარტო ძალიან გაბედული და სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებული წესიერი ადამიანები თუ შეძლებენ. უბედურება ისაა, რომ იმათ, ვისაც ქვეყანაზე გული შესტკივა და სათქმელიც აქვს, ტრიბუნას უხშობენ. კერძო ტელევიზიები ერთი პრინციპით მუშაობენ, ერთსა და იმავე ხალხს იწვევენ. ყველა მხრიდან ერთნაირი აზრები ისმის.

***– საზოგადოებისთვის არსებობს ბიუჯეტიდან კარგად დაფინანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი“..***

– „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ამ საკითხებში არაფრით განსხვავდება კერძო არხებისაგან. იქაც ყველა გადაცემაში ერთი ჯგუფია. ამ დროს ამბობენ, რომ საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. იმათთვის, ვინც ადრე სახელმწიფოს იარაღით ხელში ებრძოდა, საჭიროზე მეტი თავისუფლებაა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხისათვის კი გამოხატვის არეალი დახშულია. ამ დროს სულ ადამიანის უფლებებზე მიდის აპელირება. ადამიანის უფლებებზე ღაღადებდნენ მაშინაც, როცა ეროვნული ხელისუფლება დაამხეს. ეს მოვლენები დღესაც არ არის შეფასებული. ვისაც შეფასება შეუძლია, იმ ხალხს ავიწროებენ. კრიმინალის აყვავება და პოპულარიზაცია შევარდნაძის დროიდან მოდის. მას კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები გვერდზე ესხდნენ. ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც შევარდნაძის მმართველობას გვაგონებს.

***– თქვენივე საუბრიდან თუ დავასკვნით, დღეს უფრო დეგრადირებულია საზოგადოება.***

– ქვეყანაში აპოკალიფსური სიტუაციაა. თუ ეს პროცესები რამენაირად არ გავაჩერეთ, სახელმწიფო აღარ გვექნება.

# მაია რჩეულიშვილს და რუსუდან კერვალიშვილს ციხიდან უშვებენ?

ნონა ცაბაძე

ცენტრ პოინტმა ემ კვადრატისთვის საკუთარი აქტივების პროცესი დაიწყო. როგორც ცენტრ პოინტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუკა რჩეულიშვილი აცხადებს, მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადებული წინაპირობების 80% უკვე შესრულებულია, ხოლო დარჩენილ 20%-ს ცენტრ პოინტი უახლოეს ათ დღეში შეასრულებს. ემ კვადრატი უახლოეს ათ დღეში დაიწყებს თავის სამუშაოებს. ამის პარალელურად კი გაფორმდება საპროცესო შეთანხმება და მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი საპატიმროს დატოვებენ.

„ახალი თაობა“ დეტალების დასაზუსტებლად მაია რჩეულიშვილის ადვოკატს მარინე ცუცქირიძეს და ცენტრ პოინტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გუკა რჩეულიშვილს დაუკავშირდა.







**მარინე ცუცქირიძე**

***– ქალბატონო მარინე, როგორც გუკა რჩეულიშვილი აცხადებს, პროცესი დასასრულს უახლოვდება. ცენტრ პოინტმა ხელშეკრულებაში ჩადებული წინაპირობის 80% შეასრულა. რა ეტაპზე ხართ ახლა?***

– დიახ, თითქმის ბოლო ეტაპზე ვართ მისული. სულ რამდენიმე დღის საქმეა დარჩენილი. პარალელურად ვმუშაობთ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. დაზარალებულების 80%-მა უკვე მოაწერეს ხელი, რომ კი, თანახმა არიან საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს მაია რჩეულიშვილთან და რუსუდან კერვალიშვილთან, რათა მათ დატოვონ საპყრობილე. მათი ინტერესი ნამდვილად არ არის, რომ ეს ქალბატონები მაინცდამაინც საპყრობილეში ისხდნენ. თანახმანი არიან, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები რაც არის, ამ პირობებით დასრულდეს ეს საქმე.

***– როგორია ეს პირობები?***

– იცით, რომ ემ კვადრატი შემოვიდა, ის დაასრულებს მშენებლობებს. აბსოლუტურად ყველა დაზარალებული დაკმაყოფილდება. ანუ მიიღებენ იმ ქონებას, რაცა აქვთ რეალურად შეძენილი. მიიღებენ დასრულებულ მდგომარეობაში. ასეთი იყო დაზარალებულების მოთხოვნა და ისინიც მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებას. რეალურად ერთადერთი გამოსავალიც ეს არის. ეს ქალბატონები ციხეში ისხდნენ და რაც აშენებულია, ისიც განადგურდეს, ეს არავის ინტერესებშია.

***– არც დაზარალებულების?***

– ეს არავის არ სჭირდება, არც სახელმწიფოს, არც პროკურატურას, არც დაზარალებულებს და არც არავის. ამიტომ ასეთ კონდიციამდეა მისული ეს შეთანხმება, ფაქტიურად დაზარალებულების 80%-მა მოაწერა ხელი, რაღაც მცირე ნაწილი დარჩა, მათი დიდი ნაწილიც ამ დღეებში მოაწერს ხელს და შემდეგ უკვე საპროცესო შეთანხმების ტექსტზე დავიწყებთ მუშაობას და ალბათ ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი, ამ ქალბატონებმა საპყრობილე დატოვონ.

***– მაინც რა ვადებში? როდის დატოვებენ საპყრობილეს მაია და რუსუდანი?***

– ზუსტი თარიღის თქმა მიჭირს. ახლა გადაიდო მაგნოლიის პროცესი 9 ოქტომბრამდე. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ ამ დროს უკვე პროცესი აღარ იქნება საჭირო, პროცესის გადადება ან ჩატარება. ამ დროისთვის წესით, ყველაფერი დასრულებული უნდა იყოს. ზუსტი თარიღის თქმა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ახლა მიმდინარეობს გადაბარების პროცესი.

***– როგორია ემ კვადრატის პირობები, რა ვადებში უნდა დააკმაყოფილოს ცენტრ პოინტის დაზარალებულები?***

– ხელშეკრულებაში წერია სამი წელი. ამ სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ყველა დაზარალებული დაკმაყოფილდება.

***– რა ბედი ელის თავად ცენტრ პოინტს? მთლიანად დათმო წილები?***

– ეს წვრილმანი დეტალები ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აჯობებს, რომ გუკა რჩეულიშვილთან დააზუსტოდ.

***– როგორია მაია რჩეულიშვილის დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით? ითქვა, რომ ყველა დეტალი მასთან დათანხმდებოდა. ასეა?***

– რა თქმა უნდა. სისტემატიურად ვთანამშრომლობდით, ყველა დეტალი იცის, ყველა წვრილმანი დეტალურად გვაქვს გავლილი. მაიაც, რა თქმა უნდა, თანახმაა, მისი მთავარი მოლოდინი და მისი ამოცანაა, რომ დაკმაყოფილდეს უკლებლივ ყველა დაზარალებული და თავადაც შეძლონ თავისუფლად ცხოვრება. მათი მიზანია, რომ ცენტრ პოინტს აღარ ყავდეს არც ერთი დაზარალებული.

***– როგორია პროკურატურის პოზიცია? წამოვა საპროცესო შეთანხმებაზე?***

– პროკურატურის პოზიციაც ეგ არის. თუ ყველა დაზარალებული დაკმაყოფილდება, აღარავინ იქნება მომჩივანი და ყველა მიიღებს კუთვნილ ქონებას, არც პროკურატურის მიზანია, რომ მაინცდამაინც ეს ქალბატონები ციხეში ისხდნენ.

***– თუ გყავთ ისეთი დაზარალებული, ვინც არ მოდის ამ ხელშეკრულების პირობებზე?***

– შეიძლება 10-15 კაციანი ჯგუფი იყოს, ვინც არ არის თანახმა, მეტი არა. მე ვფიქრობ, რომ ოქტომბრის დასაწყისამდე ყველა დარჩენილი პრობლემაც მოგვარდება.

**გუკა რჩეულიშვილი**

***– გუკა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ცენტრ პოინტთან დაკავშირებული პრობლემები უკვე დასასრულისკენ მიდის და რომ მაია და რუსუდანიც მალე დატოვებენ საპყრობილეს. ასეა?***

– დიახ, ასეა. ემ კვადრატი იღებს ყველა ვალდებულებას, ჩვენ აღარ გვეყოლება დაზარალებულები. ემ კვადრატის ხელშეკრულება ძალაში რომ შევა, რაღაც წინაპირობები დარჩა შესასრულებელი, სულ ორი საკითხი. დიდი იმედი მაქვს, რომ მაქსიმუმ ორ კვირაში შესრულდება. სექტემბრის თვეს არ უნდა გადაცდეს და ამის შემდეგ უკვე დადგება საპროცესო. წესით ოქტომბრის დასაწყისს არ უნდა გადაცდეს.

***– ემ კვადრატმა სრულად აიღო ვალდებულებები?***

– დიახ, ყველა ობიექტზე აიღო ვალდებულებები, რომ სამი წლის განმავლობაში დაამთავრებს ყველა ობიექტს.

***– ცენტრ პოინტმა დაიტოვა ობიექტები, თუ მთლიანად გადაეცით ემ კვადრატს?***

– არა, მთლიანად გადავეცით აქტიური მშენებლობები, რაც იყო და ასევე მიწებიც. ემ კვადრატი დაასრულებს ყველა ობიექტს და ყველა დაზარალებული უკლებლივ იქნება დაკმაყოფილებული.

***– როგორია დაზარალებულების პოზიცია, ყველა მათგანი წამოვიდა ამ ახალ ხელშეკრულებებზე? მისაღებია მათთვის თქვენი პირობები?***

– 95% თანახმაა. იცით, როგორი გაჭედილი იყო სიტუაცია ამ ხნის განმავლობაში, ყველა მოუთმენლად ელოდებოდა ამ ამბის დასასრულს. მთელი ერთი წელია, რაც ამ შეთანხმებაზე მიდის საუბარი. 4 აპრილს მოეწერა ხელი ამ ხელშეკრულებას. იქიდან მოყოლებული ყველა წინაპირობა სრულდება და როგორც იქნა, გავედით ბოლოში და მალე შევა ძალაში.

***– რას ამბობს პროკურატურა, როგორია მათი პოზიცია?***

– პროკურატურა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლას ელოდება და შემდეგ გაფორმდება საპროცესო. არ მგონია, რომ კიდევ რაიმე ბარიერი იყოს.

***– თავად მაიას და რუსუდანის პოზიცია როგორია?***

– როგორი უნდა იყოს? ორი წელია ციხეში არიან. ძალიან უნდათ გამოსვლა. მათი მთავარი მიზანია, რომ დაკმაყოფილდეს ყველა დაზარალებული.

***– მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?***

– როგორ გითხრათ, კარგად არიან-თქო. ნამდვილად არ არიან კარგად. ჯანმრთელობის პრობლემები ორივეს აქვს, განსაკუთრებით მაიას. ორ წელზე მეტია იქ არის. იმედია, მალე გამოვა, გამოკვლევებს გაიკეთებს და ჯანმრთელობასაც მიხედავს. წესით და რიგით არანაირი წინაღობა არ უნდა იყოს. ყველაფერი წესრიგშია და ყველაფერი კარგად იქნება.

# „მარიხუანას ბაზარზე შესვლა დიდ კონკურენციაში ავტომატურად ჩაბმას გულისხმობს“

**ექსპორტის მიზნით მარიხუანას მოყვანა-წარმოების საკითხი მთავრობის სხდომაზე დღეს განიხილეს. როგორც გუშინ შსს-ში განმარტეს, მთავრობა განიხილავს ექსპორტზე გასატანად სამედიცინო და კოსმეტიკური მიზნით, მარიხუანას მოყვანა-წარმოების საკითხს.**

**შსს-ს ცნობით, მთავრობის მიერ მარიხუანასთან დაკავშირებით ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს მარიხუანას გასაღების მკაცრ შეზღუდვას.**

**რა ეკონომიკურ ეფექტს მიიღებს ამით საქართველო, სად უნდა მოვძებნოთ ამ საკითხის სპეციალისტები, სად უნდა მოხდეს შესაბამისი ხარისხის ნერგების (თესლების) შეძენა? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „კომერსანტს“ კომპანია Agro Solutions Georgia-ს ხელმძღვანელმა ირაკლი ჩიქავამ უპასუხა:**



***– როგორც ცნობილია, მარიხუანას ექსპორტი ეკონომიკის განვითარებისთვის კეთება. ყოველ შემთხვევაში, ასე დაანონსდა. რა ეკონომიკური ეფექტის მიღება შეიძლება ამ ბიზნესიდან ქვეყნისთვის?***

– ბუნებრივია, წინასწარ საუბარი ძალიან რთულია, გამომდინარე იქიდან, რომ არ ვიცით, რა იქნება ლიცენზიის პირობები, ან დაგეგმილი კვოტა. თუმცა, ფაქტია, რომ 1 ჰექტრიდან მიღებული შემოსავლის შედარებით, მარიხუანა საკმაოდ შემოსავლიანი პროდუქტია, გამომდინარე მისი საბაზრო ფასიდან მსოფლიო ბაზარზე.

***– საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თუ ექნება რაიმე ტიპის შეხება მარიხუანას კულტივაციის თემასთან. ან უნდა ჰქონდეს თუ არა?***

– ძნელი სათქმელია, რა შეიძლება სამინისტროს როლი იყოს მარიხუანას კულტივაციის პროცესში. თუმცა, ბუნებრივია, მარიხუანა არის სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ისევე, როგორიც შეიძლება იყოს პირობითად დაფნა, რომელიც ასევე გამოიყენება კოსმეტიკაში. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იმ ტიპის ლიცენზიის პირობების დადგენა, რომელიც კონკურენტუნარიან პირობებში ჩააყენებს დაინტერესებულ მეურნეობებს.

***– მარიხუანას კულტივაციამ რა ტიპის გავლენა შეიძლება მოახდინოს ნიადაგზე, გარემოზე, სხვა ტიპის სავარგულებზე?***

– მარიხუანა, ამ კუთხით, არაფრით განსხვავდება სხვა ერთწლიანი კულტურებისგან. შესაბამისად, მარიხუანას კულტივირებას ექნება იგივე ეფექტი გარემოზე, რაც სხვა მცენარეს შეიძლება ჰქონდეს.

***– ამ თემის სპეციალისტები სად უნდა მოვძებნოთ, არის საამისო კადრი?***

– მარიხუანას, განსაკუთრებით სამედიცინოს, სჭირდება სპეციალური აგროტექნოლოგი, რათა ზუსტად იქნეს მიღწეული დაგეგმილი ჩ -ს (ნივთიერება, რომელიც სამედიცინო კუთხით გამოიყენება და რომელიც თრობას არ იწვევს) შემცველობა მცენარეში. ამ ეტაპზე, საქართველოში მსგავსი ტიპის ცოდნის პოვნა რთულია, თუმცა შესაძლებელია ცოდნის, გამოცდილების იმპორტი იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც უკვე გადადგეს ამ მიმართულებით ნაბიჯები. ჩვენმა კომპანიამ უკვე დააგზავნა მოთხოვნა პარტნიორ ქვეყნებში და დავიწყეთ მოკვლევა, თუ რა ტიპის სიტუაციაა შრომით ბაზარზე.

***– სად უნდა მოხდეს შესაბამისი ხარისხის ნერგების (თესლების) შეძენა?***

– ამ მიმართულებით მსოფლიოს ბაზარზე უკვე არიან წამყვანი კომპანიები, რომლებიც სელექციას წლებია ეწევიან, შესაბამისად სამედიცინო მარიხუანის თესლის მოძიება პრობლემას არ წამოადგენს.

***– როგორ თვლით, როგორ და ვინ უნდა გაანადგუროს მოყვანილი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც ექსპორტისთვის გამოუსადეგარი იქნება ?***

– როდესაც ვსაუბრობთ სამედიცინო მარიხუანაზე, ავტომატურად ვგულისხმობთ მცენარეს, რომელსაც აქვს მხოლოდ ჩ და არ გააჩნია თცჩ (ნივთიერება, რომელიც იწვევს ე.წ. თრობას). შესაბამისად, სამედიცინო მარიხუანას რეკრეაციული მიზნებით მოხმარებას, ფაქტიურად არანაირი ეფექტი არ აქვს. ეს ავტომატურად გამორიცხავს მისი ადგილობრივად გავრცელების მოტივაციას და, შესაბამისად, კონტროლის მექანიზმებიც შესაძლებელია იყოს მარტივი.

***– რა მოცულობის ნაკვეთზე უნდა მოიყვანო მარიხუანა, რომ ლეგალურ კულტივაციად ჩაითვალოს, მაგ. 100 კვ.მ ფართობზე კულტივაცია ლეგალური იქნება?***

– ლეგალურ და არალეგალურ კულტივაციას განსაზღვრავს უშუალოდ თესლის ტიპი, სამედიცინოა ის თუ რეკრეაციული (ანუ, აქვს თუ არა თცჩ შემცველობა). მთავრობის მხრიდან არ გაჟღერებულა ტექნიკური მახასიათებლები მისი კულტივაციის, ასე რომ, პასუხი ფართობთან დაკავშირებით ჯერ არ არსებობს.

***– საჭიროა თუ არა სახელმწიფომ ამ სფეროს განვითარების მიზნით შესაბამისი კადრების გადამზადება მოახდინოს?***

– სამედიცინო მარიხუანა, ერთ-ერთი მოთხოვნადი პროდუქტი ხდება ბაზარზე, რადგანაც უკვე კლინიკურად დადგენილია მისი დადებითი გავლენა სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის პროცესებში. შესაბამისად, ამ ბაზარზე შესვლა, ავტომატურად გულისხმობს დიდ კონკურენციაში ჩაბმას, რომელსაც აუცილებლად დასჭირდება გამოცდილი კადრების ადგილზე არსებობა.

# თემურ ჭყონია მარიხუანის წარმოებაზე: „ვინც ამ ბიზნესს დაიწყებს, ქვეყანაში დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს“



ბიზნესმენი თემურ ჭყონია მარიხუანას საქართველოში წარმოებაზე და მის პერსპექტივაზე „კომერსანტთან“ საუბრობს. მისი განცხადებით, ეს ბიზნესი პერსპექტიულია, რადგან მსოფლიოში მარიხუანაზე მოთხოვნილება იზრდება.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა საქართველო მარიხუანას ერთ-ერთ მწარმოებელ ქვეყანად იქცეს, ჭყონია განმარტავს, რომ მთავარია სახელმწიფომ აკონტროლოს ეს ბიზნესი და ფინანსები, რადგან ამ შემთხვევაში ქვეყანას ძალიან დიდ შემოსავლებთან ექნება საქმე.

მისი განცხადებით, სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს იმის კონტროლიც, რომ მარიხუანას მოყვანისთვის რეგიონებში, მაგალითად, თხილის და ვაზის გაჩეხვა არ მოხდეს.

– თუ ამას კულტურული ფორმით მიუდგებიან, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია, საქართველო ერთ-ერთ მწარმოებელ ქვეყანად იქცევა, – აცხადებს ჭყონია.

მისივე განცხადებით, თუ ყველაფერი ცივილიზებულად გაკეთდა, ტურისტებისთვის საქართველოს წარმატებული ქვეყნის იმიჯიც ექნება.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა რეალობასთან ახლოს იყოს ბოლო პერიოდში მედიაში გავრცელებული, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოსაზრება, თითქოს ამ ბიზნესში ჩართვის სურვილი ბიძინა ივანიშვილის გარემოცვას აქვს? – ჭყონია განმარტავს, რომ მან არ იცის, ვის აქვს ინტერესი, თუმცა, განმარტავს, რომ ვინც ამ ბიზნესს დაიწყებს, ქვეყანაში დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს. ლიცენზიის მიღება მარტივი არ იქნება. ამიტომ, ვისაც დიდი გავლენა აქვს, ის იქნება ამ ბიზნესის პატრონიც.

– შეიძლება მთავრობამ დაუშვას ისე, რომ მარიხუანას მოყვანა ყველას შეეძლოს, მისი რეალიზაცია კი შესაძლოა სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულმა საექსპორტო კომპანიამ განახორციელოს. ეს სწორიც იქნება, რადგან ეს საკითხი რეგულაციას საჭიროებს. იყო პერიოდი, როდესაც ყველა სუპერმაკეტს ხსნიდა, მერე ბენზინგასამართ სადგურებზე გადავიდნენ, ახლა მოდაში მარიხუანას დათესვა შემოვა. ატყდება ერთი ამბავი იმის გამო, რომ ქვეყანა ღარიბია და ყველა შემოსავლის წყაროს ეძებს, – აცხადებს ჭყონია.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ხომ არ დაინტერესდება ბიზნესმენი თემურ ჭყონია მარიხუანას ბიზნესით, ბიზნესმენი განმარტავს, რომ ეს სფერო მისთვის სრულიად უინტერესოა.

– არ მაქვს ამ სფეროთი ფულის შოვნის სურვილი. მაინტერესებს ის, რომ ხალხმა შემოსავლის წყაროდ გაიხადოს ეს და არა ცხოვრების წესად, – განმარტავს ჭყონია.

მისი განცხადებით, მარიხუანას წარმოება ბევრ ქვეყანაში ლეგალიზებულია, მაგალითად ამერიკაში, ევროპაში, გააჩნია, მას როგორ გამოიყენებ. „თუ ეკონომიკური ეფექტისთვის გამოიყენებ, ნამდვილად გაამართლებს, მაგრამ თუ რეგულაციაში არ მოყვა, შეიძლება ცუდი შედეგიც მივიღოთ. აქ საქმე მარტო ეკონომიკურ ეფექტში არ არის, იმიჯზეც უნდა ვიფიქროთ. ის რომ ქვეყანამ მარიხუანას ლეგალიზება მოახდინა და მისი ექსპორტი დაუშვა, ქვეყნის მხრიდან ეს სერიოზული განაცხადია, – აცხადებს ჭყონია.

# „კანაფის წარმოება აგრონომიულ ცოდნას მოითხოვს“



სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილის განცხადებით, კანაფის წარმოება გარკვეულ აგრონომიულ ცოდნას მოითხოვს. მისი თქმით, ყველა ქვეყანაში, სადაც მისი წარმოება ლეგალურია, პროცესი მკაცრი კონტროლისა და სპეციალური პირობების შესაბამისად მიმდინარეობს.

– წარმოდგენილი კანონმდებლობაც ამას გულისხმობს, რომ კანაფი არ იქნება თავისუფალი კულტივირების პროდუქტი და ეს მოხდება ლიცენზიის პირობებით, მკაცრად რეგულირებული. მათ შორის ეს შეეხება გადამუშავების და რეალიზაციის ელემენტებსაც, რაც ასევე კანონმდებლობით დარეგულირდება. ასე ხდება ყველა ქვეყანაში, სადაც წარმოება დაშვებულია. მათ შორის, ევროპულ ქვეყნებში, ისრაელში, კანადასა და ჩინეთში, ყველგან, სადაც ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ, – განაცხადა დავითაშვილმა.

# ბექა ოდიშარია: „რომან გოცირიძეს გადაეცით, იმ პერიოდის მონაცემები გამოაქვეყნოს, როდესაც მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ხელმძღვანელობდა“

საქართველომ ხუთ წელიწადში 4,3 მილიარდი ლარი დაკარგა – ეს მონაცემები ნაციონალური მოძრაობის დასკვნაშია აღნიშნული, რომელიც პარტიის ლიდერის რომან გოცირიძის ინფორმაციით, ოფიციალურ ინფორმაციასა და სტატისტიკაზე დაყრდნობით მომზადდა.



დოკუმენტი, „ოცდაორი თეზისი ქვეყნის სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღსაწერად“ რიცხვებით გადმოსცემს 2012 წლიდან დღემდე საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას – როგორ შეიცვალა ეკონომიკის ზრდის საშუალო მაჩვენებელი, სახელმწიფოს ვალი, საშუალო ხელფასი, უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ა.შ. – დასკვნა კი ნამდვილად არ არის სახარბიელოა.

„კომერსანტმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა დოკუმენტი და გამოქვეყნების შემდეგ შეეცადა, „ქართული ოცნების“ შეფასებები მოესმინა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდის თითქმის ყველა ლიდერთან ვცადეთ დაკავშირება, მათმა უმეტესობამ კომენტარისგან თავი შეიკავა, ნაწილმა სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

რაც შეეხება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქარათველოს“ დეპუტატ დავით მათიკაშვილს, მისი აზრით, დოკუმენტი რეალობას აცდენილია.

– ვფიქრობ, ეს ციფრები არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი და არ არის გააზრებული ერთიან ჭრილში. შესაბამისად, მის ობიექტურობაზე საუბარი ზედმეტია. არანაირი თეზისი, კვლევა, სტატისტიკა თუ რაიმე მსგავსი არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით შესწავლილი, არამედ ეს უნდა მოიცავდეს ყველა მიმართულებას, რათა საერთო ჭრილში დავინახოთ რეალობა. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკას, მე, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ვფიქრობ, საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების ფონზე, საქართველო კიდევ კარგად ართმევს თავს პრობლემებს. იცით, რაც ხდება მეზობელ ქვეყნებში (თურქეთში, რუსეთში), რა ემართებათ ეროვნულ ვალუტებს? ამის ფონზე საქართველო ნამდვილად კარგად პასუხობს ყველა გამოწვევას. შიდა ეკონომიკურ მოვლენებზე კი ვიტყვი, რომ თუნდაც ის პროგრამები, რაც განსაკუთრებით მამუკა ბახტაძის პრემიერობის დროს ჩვენ დავნერგეთ დასაქმების კუთხით, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების კუთხით, არასდროს ამას ნაციონალური მოძრაობა არ გააკეთებდა, – აღნიშნავს დავით მათიკაშვილი.

მათიკაშვილის მოსაზრებას იზიარებს დეპუტატი ბექა ოდიშარიაც. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლება, წინამორბედისგან განსხვავებით, დგამს ქმედით ნაბიჯებს. რომან გოცირიძის მიერ გავრცელებული დოკუმენტი კი მიკერძოებულია.

– რომან გოცირიძეს გადაეცით იმ პერიოდის მონაცემები გამოაქვეყნოს, როდესაც მთავრობის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი გახლდათ. დარწმუნებული ვარ, ის დოკუმენტი ბევრად საინტერესო იქნება. დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს გამოწვევები, თუმცა მამუკა ბახტაძეს აქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც გულისხმობს ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებას მოქალაქეების ჩართულობით. სწორედ ეს არის გამოსავალიც. ციფრები არ არის მარტო მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელია ვიცოდეთ, რეალობაში როგორ აისახება ეს მაჩვენებლები. „ქართული ოცნება“ ცდილობს, რეალობაც იყოს სტაბილური და ადეკვატური, – განმარტავს ბექა ოდიშარია.

# გიორგი ქობულია: „წიაღის სექტორში კონკრეტული საინვესტიციო პროექტების მომზადებას და ინვესტიციების მოზიდვას ვგეგმავთ“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ეკონომიკის სამინისტროს წიაღის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს, მაია



ზავრაშვილს და სააგენტოს თანამშრომლებს შეხვდა. გიორგი ქობულიამ და შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად იმსჯელეს სფეროში არსებულ სიტუაციასა და სამომავლო გეგმებზე, მათ შორის საუბარი შეეხო კონკრეტულ საინვესტიციო პროექტებსა და წიაღის სფეროში ინვესტორების მოზიდვის საკითხს.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს წიაღისეულის ათვისების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

– ამისთვის ჩვენ დღესდღეობით ვგეგმავთ კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შეკვრას და ინვესტორების მოზიდვას. აგრეთვე ვმუშაობთ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის გამართვა-გამარტივების კუთხით, რომელიც იქნება ძალიან ხელსაყრელი ბევრი ინვესტორისთვის.

ვფიქრობთ, ამის შედეგად საგრძნობლად გავზრდით წიაღისეულის მოპოვებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის, – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა აღნიშნა, წიაღის სფეროში ინვესტიციების მოზიდვა მოსახლეობის კეთილდღეობაზეც დადებითად აისახება – წიაღისეულის მოპოვების ადგილებში აშენდება არაპროფილური ინფრასტრუქტურა, ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტში კი გადასახადები შევა.

– ამიტომ ამ საკითხს ყველა პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ და ყველამ უნდა ვიცოდეთ – სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ წიაღისეულის მოპოვება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ გარემოსა და მოსახლეობის ინტერესების, მათი ჯანმრთელობის დაცვის მკაცრ ფარგლებში, ამას არასდროს გადავუხვევთ, – აღნიშნა გიორგი ქობულიამ.

# საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების რაოდენობა 9%-ით გაიზარდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციის“ ინფორმაციით, 2018 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოს საჰაერო სივრცის დატვირთვა 9%-ით გაიზარდა.




2018 წლის 8 თვის განმავლობაში საქართველოს საჰაერო სივრცეში შესრულდა 101.215 ინსტრუმენტალური ფრენა. აღნიშნული მაჩვენებელი 8.319 ფრენით ანუ 9%-ით მეტია 2017 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე.

2018 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში შესრულებული გადაფრენების რიცხვმა 69.912 ფრენა შეადგენ, რომელიც 2017 წლის მაჩვენებელზე 4.2% -ით (2.791 ფრენით) მეტია.

ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება საქართველოს აეროპორტების აფრენა-დაფრენის ზონებშიც. „საქაერონავიგაცია“ 8 თვის განმავლობაში საქართველოს სამ საერთაშორისო და ორ ადგილობრივ აეროპორტში 31.303 ფრენას მოემსახურა, რაც 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.528 ფრენით, ანუ 21.4%-ით მეტია.

უწყების ცნობით, საქართველოს საჰაერო სივრცეში ნაფრენი დისტანცია 2018 წლის იანვარ-აგვისტოს ჩათვლით 27.859.000 კმ-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 316.656 კმ-ით მეტია გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე

# თორნიკე აბულაძე: „სამშენებლო სექტორში ფული აქვთ, მაგრამ ინვესტიციას ვერ ახორციელებენ“

სამშენებლო კომპანია „არსის“ დირექტორი თორნიკე აბულაძე უძრავი ქონებისა და მშენებლობის სექტორებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზებს განმარტავს.

როგორც აბულაძემ დედაქალაქის მაგალითზე BM.GE-სთან საუბრისას განაცხადა, აღნიშნული მიმართულებებით FDI-ის შემცირება სამშენებლო ნებართვების გაცემისას არსებულმა სირთულეებმა გამოიწვია.

– სავარაუდოდ, მესამე კვარტალში კიდევ გვექნება შემცირება. ამის მიზეზი ისაა, რომ გარკვეულწილად გართულდა სამშენებლო ნებართვების მოპოვება, შესაბამისად ამან გამოიწვია ის, რომ არ არსებობს ნებართვა ინვესტიციის განხორციელებისთვის. რადიკალიზმი სწორი არაა, რადგან ამით ეკონომიკას ვაჩერებთ და არ შეიძლება, რომ ყველაფერი ერთ ქვაბში მოვხარშოთ და არაფრის ნებართვა გავცეთ. მგონია, რომ ესენი უნდა დალაგდეს. ვიცი, რომ არქიტექტურის სამსახურში გარკვეული რეფორმები უკვე დაწყებულია. ყოველ შემთხვევაში, პასუხები დროული მოდის. ახლა უკვე ხარისხის კომპონენტზე მიდის მუშაობა, რომ ეს პასუხები ხარისხიანი იყოს, – განაცხადა აბულაძემ და დასძინა, რომ „დღეს სამშენებლო სექტორში გარკვეული პრობლემები აქვთ – ანუ ფული აქვთ, მაგრამ ინვესტიციას ვერ ახორციელებენ.

მისივე განმარტებით, სამშენებლო სექტორში საინვესტიციო აქტივობის კლება საქმიანობის სხვა სფეროებსაც შეეხება.

– პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ეს ჩვენ



შეგვეხო, ხვალ კი სარემონტო კომპანიებს, შემდეგ ტექნიკისა და ავეჯის შემომტან კომპანიებს შეეხება – ანუ მთელი ეს ციკლი თუ ამოვარდა, გარკვეული პრობლემების წინაშე დავდგებით, – აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის მეორე კვარტალში მშენებლობაში 29.1 მლნ აშშ დოლარის მოცულობის FDI განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (66.8 მლნ აშშ დოლარი) დაახლოებით 56%-ით ჩამორჩება. რაც შეეხება უძრავ ქონებას, ამ სექტორმა მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში 34.3 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიღო, რაც 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებზე (44.9 მლნ აშშ დოლარი) თითქმის 24%-ით ნაკლებია.

BM.GE

# „ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაგეგმილზე მაღალია“

აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გელა სამხარაული უძღვებოდა, ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვაზე“ იმსჯელეს.

საკითხი წარადგინა და ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის მიხედვით კომიტეტის წევრებს გააცნო ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ. როგორც მან აღნიშნა, გარკვეული პარამეტრები და მონაცემები უკვე განახლებულია და მთელ რიგ შემთხვევაში სამინისტროს შვიდი-რვა თვის მონაცემები აქვს.



– ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაგეგმილზე მაღალია და გასულ შვიდ თვეში 5,5 %-ს მიაღწია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სექტემბრის ბოლოს, როდესაც 2019 წლის ბიუჯეტი იქნება წარმოდგენილი, 2018 წლის პარამეტრებიც იქნება განახლებული და მაჩვენებლების დაზუსტება ზრდისკენ მოხდება. რაც შეეხება ინფლაციას, იგი დაგეგმილია 3%-ის ფარგლებში, ივლისის მდგომარეობით იგი 3,1%-ია, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ინფლაცია ფაქტობრივად დაგეგმილი მაჩვენებლის ფარგლებშია და ამ მხრივ რაიმე მოულოდნელობებს ნამდვილად არ ველოდებით, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

მისი თქმით, ბიუჯეტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სექტორის მიმართულება, მათ შორის, საგარეო ვაჭრობა, ფულადი გზავნილები და ტურიზმი და ყველა მათგანის მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. საბოლოოდ კი, 2018 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელმა 105.2 % შეადგინა. ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 5,441,800.4 ათასი ლარი, ფაქტობრივმა შესრულებამ კი 5,727,345.7 ათასი ლარი შეადგინა.

მომხსენებლის განცხადებით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 12 მლრდ 459 მლნ 500 ათას ლარს, წლის პირველ ნახევარში განსაზღვრული იყო 5 მლრდ 750 მლნ ლარი, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5 მლრდ 465,9 მლნ ლარი, ანუ დაგეგმილი მაჩვენებლის შესრულებამ შეადგინა 95,1%.

შემდეგ მან ცალკეული სამინისტროების მიხედვით შესრულების მაჩვენებლები წარმოადგინა, რომლის მიხედვით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესრულების მაჩვენებელმა 89,1% შეადგინა, ანუ აღნიშნულ სფეროში განხორციელდა 106,4 მლნ ლარის ხარჯვა სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით.

კომიტეტს ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში პროგრამული შესრულების მაჩვენებლებზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა მიაწოდა. როგორც მან აღნიშნა, შედარებით რთული მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებებთან დაკავშირებით, სადაც შესრულების მაჩვენებელმა ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ 28%-ს მიაღწია. გიორგი ხანიშვილმა დეტალურად ისაუბრა ამის მიზეზებზე და აღნიშნა, რომ უკვე განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ბიუჯეტის შესრულების ცხრა თვის შედეგებით, სურათი უკეთესობისკენ შეიცვლება.

– ბევრი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში კოოპერატივებს საკმაოდ დიდი წილი უკავია. ჩვენთან კი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ღონისძიება ხორციელდება კოოპერატივების მხარდასაჭერად, სათანადო შედეგი მაინც ვერ მივიღეთ. ტენდერებთან და დაგეგმვებთან დაკავშირებით, ალბათ, მიდგომების შეცვლაა საჭირო, – განაცხადა გელა სამხარაულმა. მან მაღალმთიან რეგიონებში არსებულ პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათიბ-საძოვრების საკითხი და განაცხადა, რომ მიწაც და საძოვარიც უნდა ჰქონდეს მას, ვინც უშუალოდაა ჩართული წარმოებაში. გელა სამხარაულის თქმით, დროა სამინისტრომ ასევე მეტი ყურადღება გამოიჩინოს ქარსაცავი ზოლების აღდგენის მიმართულებით და კარგი იქნება, თუკი კანონმდებლობის მიღება ამ კუთხით დროულად მოხდება.

სხდომაზე გარკვეული მიმართულებით საკანონმდებლო უზრუნველყოფის აუცილებლობაზეც ისაუბრეს. როგორც გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, სამინისტრო უახლოეს ხანში პარლამენტში რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივას წარადგენს, რომელიც არა მხოლოდ ქარსაცავ ზოლებს შეეხება, არამედ ტყეების მართვას, ბიომრავალფეროვნებას და სხვა. „გაუდაბნოების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, მოსავლიანობა კლებულობს და აუცილებელია ამ პროექტების დროულად განხორციელება, – განაცხადა გიორგი ხანიშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტთან თანამშრომლობით პრობლემებს დაძლევენ.

დასასრულ, კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიში 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის შესახებ ცნობად მიიღო.

ბმ.გე

# საჯარო სამსახურში იმ პირთა დასაქმებაზე, რომელთაც ჯარი არ გაუვლიათ, შეზღუდვები წესდება



საჯარო სამსახურში იმ პირთა დასაქმებაზე, რომელთაც სამხედრო სავალდებულო სამსახური არ გაუვლიათ, სამართლებრივი შეზღუდვები დაწესდება.

ამის შესახებ მთავრობის მიერ მომზადებულ კანონპროექტშია აღნიშნული.

კერძოდ, პროექტის თანახმად, ზუსტდება ისეთი საკითხები, როგორიცაა საჯარო სამსახურში დანიშვნისას დასაწესებელი შეზღუდვები.

– კანონპროექტი ითვალისწინებს სამართლებრივ შეზღუდვებს საჯარო სამსახურში დანიშვნის კუთხით იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც არ გაუვლიათ სამხედრო სავალდებულო სამსახური.

ასევე, კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება აღირიცხოს საკონტრაქტო და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის გამვლელი ყველა წვევამდელი და მათ შესახებ ინფორმაცია. პრობლემურია ასევე სამხედრო სამსახურის მოხდის წესი იმ მოქალაქეების მიერ, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად ან სამუშაოდ. ასევე, საჭიროა დაზუსტდეს სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძვლები, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძვლებით უკანონო და უსარგებლო ფაქტები.

ამასთან, დასაზუსტებელია სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამვლელთათვის პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის ვადები როტაციის თვალსაზრისით და ვადამდე დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა რეზერვში ჩარიცხვის წინაპირობა, – აღნიშნულია პროექტში.

კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა საშემოდგომო სესიაზე იგეგმება.

# პიროტექნიკის არასრულწლოვანისთვის მიყიდვა, შესაძლოა, აიკრძალოს და ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს

პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისთვის მიყიდვა, შესაძლოა, აიკრძალოს და ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს.

– „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის აპარატში მომზადდა და მას კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში განსახილველად უახლოეს მომავალში წარადგენს.

პროექტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ემატება მუხლი, რომლითაც პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისთვის მიყიდვა გამოიწვევს ფიზიკური პირის – 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 200 ლარით დაჯარიმებას. აღნიშნული ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენისათვის ფიზიკური პირი 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 400 ლარით დაჯარიმდება.

როგორც პროექტის ავტორი განმარტავს, პროექტის მომზადების მიზეზია არასრულწლოვანი პირების თავისუფალი წვდომა პიროტექნიკურ ნაკეთობებზე, რის გამოც მათ ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება.

– პიროტექნიკურ ნაკეთობებზე არასრულწლოვანთა თავისუფალი წვდომა საფრთხის შემცველია. ეს არაერთხელ დადასტურდა სადღესასწაულო დღეებში პიროტექნიკური ნაკეთობების აფეთქების ან აალების შედეგად არასრულწლოვნების მიერ სხეულის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებების ფაქტებით. 2018 წლის 2 იანვარს, თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში სხვადასხვა დაზიანებებით ჰოსპიტალიზებული იყო 44 ადამიანი, აქედან 24 არასრულწლოვანი. 2017 წელს ახალი წლის დღეებში პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 54 ადამიანი დაშავდა, აქედან ორს თითების ამპუტაცია ჩაუტარდა, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

მარიამ ჯაშის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში ჯერ ინიცირებული არ არის, თუმცა ავტორი პროექტის განხილვასთან დაკავშირებული პროცესის დაწყებას ახლო მომავალში გეგმავს.

# ბათუმში მშენებარე სტადიონიდან მუშა გადმოვარდა



ბათუმში სტადიონის მშენებლობიდან 40 წლამდე ასაკის კაცი გადმოვარდა. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ, დაშავებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მედიკოსების ინფორმაციით, მამაკაცი კონტაქტური იყო და მას სხეულზე მოტეხილობები აღენიშნებოდა. პაციენტს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

ხარაჩოს დემონტაჟისას კიდევ ერთი მუშა დაშავდა. ის კლინიკიდან უკვე გაწერეს.

აღნიშნულ ფაქტზე შსს-მ გამოძიება 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

# ავარია გლდანში — გარდაცვლილია ქალი და მცირეწლოვანი ბავშვი



თბილისში გლდანის, მეოთხე მიკრორაიონში მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ქალსა და მცირეწლოვან ბავშვს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად, ორივე მათგანი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ავტომობილის მძღოლი. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე ნაწილის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას მთვრალ მდგომარეობაში გულისხმობს.

# გახარია: „საგამოძიებო კომისიის დასკვნა „პოლიტიკური“ და „სამართლებრივად სუსტია“



საქართველოს შს მინისტრი გიორგი გახარია მოზარდების მკვლელობის საქმეზე, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნას „პოლიტიკურს“ და „სამართლებრივად სუსტს“ უწოდებს.

გახარია აღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით ჟურნალისტის შეკითხვაზე მოკლე პასუხით შემოიფარგლა:

„ეს დასკვნა მეტწილად არის პოლიტიკური და სამართლებრივად სუსტი“, — განაცხადა გახარიამ.

# კიევში „ქართული ლეგიონის“ პრესოფიცერი, ისრაელის მოქალაქე ბარ ბონენი მოკლული იპოვეს



კიევში „ქართული ლეგიონის“ პრესოფიცერი, ისრაელის მოქალაქე, 36 წლის ბარ ბონენი თავის ბინაში მოკლული იპოვეს. ამის შესახებ აცებოოკ-ზე „ქართული ლეგიონის“ მეთაურმა მამუკა მამულაშვილმა დაწერა. გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად უკრაინული პოლიცია თვითმკვლელობას ასახელებს, თუმცა როგორც მამულაშვილი წერს, ბონენი „თავს არ მოიკლავდა“. მისი თქმით, ამ ვერსიას ბევრი ფაქტი ეწინააღმდეგება.

**იმედინიუსი**

# სტრასბურში საქართველოს 2 მოქალაქე დაიღუპა




ავტოსაგზაო შემთხვევას სტრასბურში საქართველოს ორი მოქალაქე ემსხვერპლა. დაშავებულია იდევ ერთი მოქალაქე, რომელიც სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. შეჯახებისას მანქანაში ორი არასრულწლოვანიც იმყოფებოდა. ორივე მათგანი საფრანგეთის მოქალაქეა. მოზარდები საავადმყოფოშია არიან მოთავსებული.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

— საკონსულო სამსახური კონტაქტზე იმყოფება გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოჯახის წევრებთან და საფრანგეთის შესაბამის უწყებებთან. მიმდინარეობს ყველა საჭირო სამუშაო გარდაცვლილთა საქართველოში დროულად გადასვენების უზრუნველსაყოფად. საქართველოს საელჩო საფრანგეთის რესპუბლიკაში ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ორი მოქალაქის, მ.პ-სა და ქ.თ-ს დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით, — ნათქვამია საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

**რუსთავი 2**

# ძალადობა 6 თვის ტყუპებზე — მოძალადე ძიძას პატიმრობა შეეფარდა



2018 წლის 12 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვანთა ცემისა და სხვაგვარი ძალადობის ფაქტზე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ორი პირის მიმართ და ბრალდებულ ი.ტ.-ს სასჯელის სახედ და ზომად, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

როგორც „ნიუპოსტს“ საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, საქმის მასალების თანახმად, 2018 წლის 13 ივნისს, დღის საათებში ქ.თბილისში ბრალდებულმა სცემა მასზე მოსავლელად მიბარებული ექვსი თვის უმწეო ბავშვები. ასევე, ტყუპებზე განახორციელა ფიზიკური ძალადობა, რაც გამოიხატა ბავშვების საწოლზე თავდაყირა დანარცხებით. ბრალდებულის ძალადობრივმა ქმედებამ, ჩვილების ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, თუმცა არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

— ბრალდებულმა სრულად აღიარა ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უდაოდ ცნო. სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ ი.ტ.-მ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ასევე ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ბრალდებული დამნაშავედ ცნო ტყუპების მიმართ განხორციელებულ ცემასა და სხვაგვარ ძალადობაში და მას სასჯელის სახედ და ზომად, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, — ნათქვამია განცხადებაში.

# კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტზე 21 პირი პასუხისგებაში მისცეს



საგამოძიებო სამსახურმა კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტზე 21 პირი პასუხისგებაში მისცა.

— საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აგრძელებს ინტენსიურ ღონისძიებებს კრედიტის უკანონოდ აღების ფაქტების გამოვლენისა და დამნაშავე პირების მხილების მიზნით.

2018 წლის აგვისტოსა და სექტემბრის განვლილ პერიოდში, გატარებული ოპერატიულ — სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საგამოძიებო სამსახურმა, აღნიშნული სახის დანაშაულში მხილებული 21 პირი პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, კრედიტის უკანონოდ მიღების მიზნით, კომერციულ ბანკებში განაცხადის შევსებისას სამუშაო ადგილისა და ანაზღაურების შესახებ ყალბ მონაცემებს უთითებდნენ, ხოლო რიგ შემთხვევებში ყალბ სახელფასო ცნობებს წარადგენდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 5 წლამდე ვადით, — აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პროკურატურა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან მიმართებაში გამოძიებას აწარმოებს



პროკურატურა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან მიმართებაში გამოძიებას აწარმოებს. „ინტერპრესნიუსს“ კალათბურთის ფედერაციასთან დაკავშირებული გამოძიების მიმდინარეობა უწყებაში დაუდასტურეს, მაგრამ დამატებით დეტალებზე არ საუბრობენ.

თუმცა, ცნობილი ხდება, რომ საქმე ფედერაციასა და ესპანურ საკალათბურთო კლუბ „ბასკონიას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ეხება.

მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარის გაფლანგვისა და მითვისების ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, პროკურატურას ერთ-ერთი კალათბურთელის, ლუკა ბულაშვილის მამამ, ლევან ბულაშვილმა თებერვალში მიმართა.

„ბასკონიას“ მიერ მომზადებულ ანგარიშში ლუკა ბულაშვილი სახელმწიფოსგან დაფინანსებულად იყო მოხსენიებული, მაშინ, როცა მისი სწავლის ღირებულება, 17.000 ევრო და ესპანეთში ცხოვრების პირველი წლის ხარჯები, 8.000 ევრო მამამისმა, ლევან ბულაშვილმა გადაიხადა.

კალათბურთის ფედერაციამ ესპანურ კლუბ „ბასკონიასთან“ 5–წლიანი ხელშეკრულება 2014 წლის 24 სექტემბერს გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ამ წლების განმავლობაში კალათბურთის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 15% ესპანეთში გზავნის. ცნობილია, რომ ფედერაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ხელშეკრულების ღირებულება 2,5 მილიონი ევროა. ამ თანხის სანაცვლოდ საქართველოში ყოველწლიურად ე.წ. საკალათბურთო „კემპი“ იმართება, სადაც საუკეთესო ბავშვებს არჩევენ და საწვრთნელად ესპანეთში გზავნიან. ამავე თანხით ქართველი მწვრთნელებიც უნდა გადამზადდნენ ესპანეთში.

ხელშეკრულების თანახმად, თუ 2024 წლამდე „ბასკონიაში“ გაგზავნილი ქართველი კალათბურთელები სხვა დიდ კლუბებთან პროფესიონალურ კონტრაქტს ხელს მოაწერენ, ქართული და ესპანური მხარეები სატრანსფერო თანხას თანაბრად გაიყოფენ.

# პროკურატურამ ლევან ყიფიანისა და ზაზა ოქუაშვილის ჩანაწერზე გამოძიება დაიწყო



თბილისის პროკურატურამ მედიაში გასულ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურიდან აცნობეს. გამოძიება იმ აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით დაიწყო, სადაც სავარაუდოდ სპორტის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი და ტელეკომპანია „იბერიას“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი ფიგურირებენ და საუბარია ორი მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების რესტრუქტურიზებაზე.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომელიც სხვისი კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლებას გულისხმობს.

გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა სხვადასხვა მედიასაშუალებებით გავრცელებული აუდიოჩანაწერი, რომელიც სავარაუდოდ, ლ.ყ.-ს და ზ.ო.-ს შორის შედგა და სადაც საუბარია ორი მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების რესტრუქტურიზებაზე.

ამასთან, აუდიოჩანაწერში დაფიქსირებულ გარემოებებთან კავშირი, 2018 წლის 11 სექტემბერს გავრცელებული განცხადებით უარყო ბიზნესმენმა უ.მ.-მ, რომლის სახელიც, სავარაუდოდ, საუბარში ფიგურირებს.

გამოძიების ეტაპზე, საქმესთან დაკავშირებით, ჩატარდება სრულყოფილი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კი დამატებით ეცნობება საზოგადოებას, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# რაში სჭირდება რუსეთს სამხედრო სწავლება ვოსტოკ-2018?!

შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო სამხედრო სწავლება „ვოსტოკ 2018“. თანახმად რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ცნობისა, მასში 300.000 სამხედრო მოსამსახურე და 1.000 თვითმფრინავი მიიღებს მონაწილეობას. მანევრებში ჩაერთვებიან ტანკები, საზღვაო ხომალდები, სადესანტო ჯარები და ა.შ. რუსებთან ერთად „ვოსტოკ 2018“-ში ჩინეთისა და მონღოლეთის შეიარაღებული ძალებიც მიიღებენ მონაწილეობას.

– ასეთი მასშტაბური სწავლებები რუსეთში უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში არ ყოფილა, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დასჭირდა რუსეთს ასეთი მასშტაბის სამხედრო სწავლებების ჩატარება? ექსპერტი პავლე ფოლკენგაუერი მიიჩნევს, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. რუსეთი გაჭედილია როგორც სირიაში, ასევე უკრაინაში. რუსეთს სურს აიძულოს დასავლეთი, რომ მისთვის სასურველ დათმობებზე წავიდეს, შეურიგდეს იმას, რომ ასადის ძალაუფლება სირიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება, აგრეთვე აიძულოს უკრაინა, რომ დონბასის ავტონომიას დაყაბულდეს. ამით უკრაინის ფედერალიზაცია დაიწყება. ეს კი ამ ქვეყნის ხავერდოვანი დაშლით დასრულდება. თანახმად მოსკოვის გეგმისა, უკრაინა სამ ნაწილად უნდა გასკდეს. დონბასმა, დნეპროპეტროვსკმა, ხერსონმა და ოდესამ ე.წ. ნოვოროსია უნდა შექმნან. ცენტრალური უკრაინა (კიევი, პოლტავა, ჩერნიგოვი, ვინიცა) ცალკე სახელმწიფოს შექმნის, დასავლეთ უკრაინა (ლვოვი, როვნო, ტერნოპოლი, ივანო ფრანკოვსკი) ცალკეს. იმიერკარპატისპირეთი უნგრეთს შეუერთდება, ბუკოვნა რუმინეთს. ასეთია მშვიდობის პუტინის სქემა. აღნიშნული პროცესი კი დონბასის ავტონომიის აღიარებით უნდა დაიწყოს.




– პუტინს სურს დასავლეთი დააშინოს და მისთვის სასურველ დათმობებზე დაითანხმოს, ამიტომაც კუნთებს ათამაშებს. სამხედრო მანევრები „ვოსტოკი – 2018“ ამისი ნათელი დადასტურებაა, – ამბობს ფოლკენგაუერი.

აღნიშნული პროგნოზის სიმართლე უნებლიეთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რიაბოვმაც დაადასტურა. მან განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის დიქტატს არ დაუშვებს:

– ჩვენ გვყავს ძლიერი არმია, გაგვაჩნია ყველა ბერკეტი საიმისოდ, რომ ამერიკის დიქტატი არ დავუშვათ, – თქვა რიაბოვმა.

საინტერესო ანალიზს აკეთებს უკრაინის უშიშროების საბჭოს წევრი ვინიკი. მისი აზრით, „ვოსტოკი – 2018“ უფრო ჩინეთის წინააღმდეგაა მიმართული. რუსეთისაგან განსხვავებით, ჩინეთი ეკონომიურად მზარდი სახელმწიფოა. ჩინელები შექმნილი მდგომარეობით ოსტატურად სარგებლობენ და შორეულ აღმოსავლეთს იკავებენ. ექსპერტის აზრით, მანევრებში საგანგებოდ მიიწვიეს ჩინელები, რათა პეკინთან არასასურველი დაძაბულობა არ შეიქმნას. მეტიც, პუტინმა ჩინეთის ლიდერი სი ცზენლინი ვლადივოსტოკში დაპატიჟა, არყითა და საკუთარი ხელით დამზადებული ბლინებით გაუმასპინძლდა. ამით მას სურდა ხაზი გაესვა, რომ ჩინეთთან მეგობრობა სურს, პარალელურად კი ვაშინგტონი ახალი ანტიამერიკული ღერძის ( მოსკოვი– პეკინი) შექმნით დაეშინებინა.

– ჩინეთს რუსეთის ტერიტორიებზე აქვს პრეტენზია. შესაბამისად მოსკოვი და პეკინი სტრატეგიული მოკავშირეები ვერ იქნებიან. დღეს ჩინეთი პუტინის სამხედრო ავანტიურებს მხარს არ დაუჭერს, რადგან საამისოდ მზად არ არის,––ამბობს ვინიკი.

## ვუდვორთის წიგნი უკვე მაღაზიებშია




აშშ-ის მაღაზიებში ცნობილი ჟურნალისტის ბობ ვუდვორთის წიგნი „საშიშროება, ტრამპი თეთრ სახლში“ გამოჩნდა. მასში უაღრესად კრიტიკულადაა შეფასებული დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის ორწლიანი პერიოდი.

აჟიოტაჟმა, რომელიც წიგნის გარშემო აზვირთდა, განაპირობა მისი ბესტსელარად ქცევა. თავად ტრამპმა თავისი განცხადებით ამას უნებლიეთ ხელი შეუწყო:

– ეს სულელური წიგნია! – თქვა ტრამპმა.

## გაერო შეშფოთებულია



სირიაში მდგომარეობა იძაბება. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, რუსულმა თვითმფრინავებმა იდლიბის პროვინცია კვლავ დაბომბეს. დანგრეულია საავადმყოფოები და საცხოვრებელი სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. 30.000 -მდე მოქალაქე იძულებულია საცხოვრებელი ადგილი დატოვოს და საზღვარგარეთ გადაიხვეწოს.

გაეროს გენერალურმა მდივანმა შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთება გამოთქვა.

– თუ ასადმა შტურმი დაიწყო, ეს ფართომასშტაბიან ხოცვა-ჟლეტაში გადაიზრდება, – აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი.

## თურქეთმა სირიის საზღვართან ტანკები გადაისროლა




თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ ერდოღანის ბრძანებით, სირიის საზღვართან ტანკები და ცოცხალი ძალა გადაისროლეს. მიზეზი იდლიბის პროვინციაზე ასადის შესაძლო იერიშია.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ასადი და მისი მოკავშირეები შევაჩეროთ, – თქვა ერდოღანმა.

## ტრამპმა ირლანდიაში ვიზიტი გააუქმა



ნოემბრის ბოლოს დონალდ ტრამპი ირლანადიაში ოფიციალური ვიზიტით უნდა წასულიყო. ვიზიტი გაუქმდა. თეთრი სახლის განცხადებით, პრეზიდენტის გრაფიკი შეიცვალა და ვიზიტიც მოგვიანებით გაიმართება.

თანახმად რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციისა, ვიზიტის გადადების მიზეზი სხვაა. ირლანდიური ოპოზიცია აპირებს ტრამპის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მასშტაბური აქციები მოაწყოს.

– ტრამპის შეხედულებების ადამიანს ირლანდიულ ფასეულობებთან საერთო არაფერი აქვს, – ამტკიცებენ ირლანდიელი ოპოზიციონერები.

ტრამპმაც ვიზიტი გააუქმა.

## მოსკოვის საპატრიარქო შესაძლოა იზოლაციაში აღმოჩნდეს



როგორც აღინიშნა, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა უკრაინაში თავისი წარმომადგენლები დანიშნა. უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმე ბოლო ფაზაში შევიდა. მოსკოვის საპატრიარქომ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ კონსტანტინეპოლი უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებს, მოსკოვის საპატრიარქო მსოფლიო პატრიარქთან ურთიერთობებს გაწყვეტს.

უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესის (კიევს საპატრიარქო) პრეს-სამსახურის უფროსმა ზორიამ განაცხადა, რომ პრინციპში მოსკოვის საპატრიარქოს ტაქტიკაში ახალი არაფერია. უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება გარდუვალია. მოსკოვიც მუქარაზე გადავიდა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყვება. თავისი განცხადებით რუსულმა ეკლესიამ თვითლუსტრირება მოახდინა. ცხადლივ გამოჩნდა, რომ მოსკოვის საპატრიარქო დამოუკიდებელ სტრუქტურას არ წარმოადგენს. ის სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელი ნაწილია და პუტინის იმპერიული პოლიტიკის იდეოლოგიურ რუპორს წარმოადგენს.

– მოსკოვის საპატრიარქო იზოლაციაში აღმოჩნდება, – თვლის ზორია.

## ევროკავშირი უნგრეთს სანქციებს დაუწესებს




უნგრეთს შესაძლოა სანქციები დაუწესონ. მიზეზი უნგრეთში შექმნილი მდგომარეობაა. საუბარია დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლაზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე და ა.შ. ევროპელი პოლიტიკოსები შეშფოთებულნი არიან იმითაც, რომ უნგრეთის პრემიერი ორბანი პუტინის ლობისტად გადაიქცა, რაც გამოიხატება უკრაინის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარებაში. უნგრეთი არა მხოლოდ ცდილობს უკრაინის ევრო-ინტეგრაცია დაბლოკს, არამედ ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ იმიერკარპატისპირეთში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. უნგრეთს ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნია რუმინეთის ( ტრანსილვანია) და სლოვაკეთის (კოშიცე) მიმართაც. ევროკავშირის წარმომადგენელმა ჯუდით სადჯენტინიმ უნგრეთში შექმნილ მდგომარეობას ვრცელი მოხსენება მიუძღვნა. მან განაცხადა, რომ უნგრეთის მიმართ სანქციები გარდუვალია. შესაძლოა ეს ფინანსური სანქციები იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ უნგრეთს ევროპარლამენტში ხმის უფლება ჩამოართვან.

## ინცინდენტი ნტვ-ს ეთერში



ნტვ-ს ეთერში მორიგი ინცინდენტი მოხდა. თოკ-შოუში, რომელიც სკანდალურად ცნობილ ტელე-ჟურნალისტს ანდრეი ნორკინს მიჰყავდა, უკრაინელი ექსპერტი ჟოვრინენკო მიიწვიეს. ნორკინს ცილისწამებაზე ჟოვრინენკომ საკადრისი პასუხი გასცა. პასუხად ნორკინმა მას დარბაზის დატოვება მოსთხოვა.

– მოვა დრო და რუსეთი საღათას ძილისგან გაიღვიძებს, პუტინიზმის ნანგრევებზე უკრაინელი გმირების სახელს დაწერენ, – მიუგო ჟოვრინენკომ.

– ამისი დედა... ვწუხვარ, რომ პირდაპირ ეთერში ვართ და არ შემიძლია სახეში გაგარტყა, – აკივლდა ნორკინი.

ჟოვრინენკომ კი სტუდია დატოვა და კარი გაიჯახუნა.

## როს გვარდიის სარდალმა ნავალნი დუელში გამოიწვია



რუსული პოლიტიკური ცხოვრება ნელ-ნელა ოპერეტას ემსგავსება. ამისი ნათელი დადასტურებაა როს გვარდიის სარდალ ზოლოტოვსა და რუსული ოპოზიციის ლიდერ ნავალნის შორის დაპირისპირება. პოლიტიკოსმა როს გვარდიის სარდალს ბრალი დასდო იმაში, რომ ჯარისკაცებისადმი გამოყოფილ სურსათზე ხელს ითბობს. პასუხად ზოლოტოვმა ნავალნი დუელში გამოიწვია.

– ბატონ ნავალნის დუელში ვიწვევ და გპირდებით, რომ მისგან კატლეტებს გავაკეთებ, – თქვა ზოლოტოვმა.

აღსანიშნავია, რომ ნავალნი ამჟამად საპატიმროში იმყოფება. აგვისტოს ბოლოს მას 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

## ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურში ყოჩაღობს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კარგ შეხვედრებს მხოლოდ ამხანაგურად ატარებს. არადა, 21 წლამდე ნაკრებს კარგი შანსი ჰქონდა, ეს თაობა გამოეყენებინა, მაგრამ...

გია ცეცაძის გაწვრთნილმა გუნდმა ამჯერად სტუმრად მალტა 5:2 გაანადგურა. მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა და უამრავ მომენტს ქმნიდა. გია ცეცაძის გუნდი სოლიდურ უპირატესობას ბურთის ფლობის მხრივაც ფლობდა.

ანგარიში ირაკლი ბუღრიძემ გახსნა, რომელსაც საგოლე პასი ლუკა ზარანდიამ გაუკეთა. აღსანიშნავია, რომ ზარანდიამ შემდეგ 2 გოლი ვატო არველაძეს გაატანინა, ხოლო 2 გოლი თავადვე მიითვალა – მოკლედ, პოლონური არკას ნახევარმცველმა ხუთივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

მალტელებმა ორჯერ გაგვიტანეს: პირველად 1:1 გახდა ანგარიში, ხოლო მე-2 გოლი მაშინ შეაგდეს, როდესაც 4:1 ვიგებდით.

საქართველოს ნაკრები მალტასთან შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით წარდგა: გუგეშაშვილი (გოშაძე 46), ლოჩოშვილი, ნოზაძე (ბერიძე 70), მარგველაშვილი, ჩაჩუა (შულაია 77), ბუღრიძე ( კოხრეიძე 55), არველაძე ( ქანთარია 70), ზარანდია, ხარაიშვილი, გიორბელიძე, ნინუა (მაჭარაშვილი 85).

## კახა ცხადაძე: „ქართველი ფეხბურთელები კლასით ყაზახებზე მაღლა დგანან“



საქართველოს ნაკრების მიერ ყაზახეთის დამარცხება აზიელებისთვის იმდენად მტკივნეული არ ყოფილა, როგორც ანდორას ფრე. იქაური ჟურნალისტები კახა ცხადაძეს გაესაუბრნენ, რომელიც ამჟამად შიმკენტის ორდაბასის მთავარი მწვრთნელია.

*– საორგანიზაციო პრობლემები ორდაბასში არის?*

– ორგანიზაციული პრობლემები ფინანსებთანაა დაკავშირებული და მადლობა ღმერთს, ასეთი პრობლემები არ გვაქვს. არსებული ფინანსების ფონზე, კლუბი კომფორტის შექმნას მაქსიმალურად ცდილობს. არ მაქვს პრეტენზია ფეხბურთელებთან, რომლებიც მუშაობენ. ვფიქრობ, გუნდში თუ რამე პრობლემებია, ეს სათამაშო ხარისხს უკავშირდება და მალევე გამოვასწორებთ.

*– ყოფილი გუნდის, კაირატის მატჩებს უყურებთ?*

– მე, როგორც მწვრთნელი, ყველა მეტოქე გუნდის შეხვედრებს ვუყურებ.

*– რას იტყვით, ერთა ლიგის პირველ მატჩში ყაზახეთისა და საქართველოს შეხვედრაზე?*

– ვფიქრობ, ძალიან ფრთხილი მატჩი იყო. ორივე გუნდი ცდილობდა, არ წაეგო, მაგრამ ქართველთა საშემსრულებლო კლასი ბევრად მაღალი იყო. ჩვენებმა 2 სწრაფი გოლი კონტრშეტევების საშუალებით გაიტანეს. მეორე ნახევარში შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ტაიმის დასაწყისში ინიციატივა ყაზახეთის იყო, მაგრამ საბოლოოდ, საქართველომ გაიტანა. პატიოსნად უნდა ვთქვა, რომ ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც ევროპულ კლუბებში თამაშობენ, კლასით ყაზახებზე მაღლა იყვნენ. ეს ცალსახა ფაქტია.

*– როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დაამარცხა ყაზახეთმა ანდორა?*

– ვფიქრობ, ეს სტოილოვს უნდა ჰკითხოთ. მან უკეთესად იცის, რა მოხდა, მაგრამ არავინ ელოდა, რომ ყაზახეთს 2 ტურის შემდეგ 1 ქულა ექნებოდა.

*– თქვენ რომ ყაზახეთის მწვრთნელი იყოთ, რომელ ფეხბურთელებს გამოიძახებდით?*

– ამ კითხვას არ ვუპასუხებ, რადგან ყაზახეთს კვალიფიციური სპეციალისტი წვრთნის. თუ მკითხავდა, რომელ ფეხბურთელებს ვურჩევდი ორდაბასიდან, სიამოვნებით გავუწევდი რეკომენდაციას.

## სამტრედიამ მიმდინარე სეზონში მეოთხე მწვრთნელი მიიწვია




ეროვნული ლიგის მიმდინარე სეზონში საფეხბურთო კლუბი სამტრედია მწვრთნელებს ცხვირსახოცივით იცვლის – იმერულ კლუბს ამჯერად 49 წლის სპეციალისტი გიორგი დარასელია გაწვრთნის.

გეტყვით, რომ გია ცეცაძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 21-წლამდელ ნაკრებთან ერთად სამტრედიის გაწვრთნის უფლება აღარ მისცა. შეგახსენებთ, სამტრედიამ ცეცაძე ევროტურნირებისთვის „ინათხოვრა“ ფედერაციიდან. ვადა სექტემბერში იწურებოდა, მაგრამ იმერლებმა მისი გაგრძელება ითხოვეს, რასაც ფედერაციამ ვეტო დაადო.

თავად დარასელია ბოლოს ეროვნულ ლიგაში გორის დილას წვრთნიდა და მესამე წრის დაწყებიდან რამდენიმე ტურში გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მიმდინარე სეზონში სამტრედიასთვის დარასელია მეოთხე მწვრთნელია. დასაწყისში გუნდს უჩა სოსიაშვილი წვრთნიდა, შემდეგ ბადრი კვარაცხელია, რომლის გაშვების შემდეგაც გუნდში გია ცეცაძე დროებით მივიდა და ახლა მას დარასელია ჩაანაცვლებს.

2 სეზონის წინ საქართველოს ჩემპიონში დღეს ურთულეს მდგომარეობაშია. 23 ტურის შემდეგ სამტრედია 13 ქულით ბოლოსწინა, მე-9 პოზიციაზეა.

## ესპანეთმა ხორვატია შეარცხვინა, ბელგიამ — ისლანდია


© Bagu Blanco/BPI/REX/Shutterstock

**ლიგა A. 4 ჯგუფი**

**ესპანეთი-ხორვატია 6:0**

**ელჩე.** მანუელ მარტინესი

1:0 საული (24), 2:0 ასენსიო (33), 3:0 კალინიჩი (33სკ), 4:0 როდრიგო (49), 5:0 რამოსი (57), 6:0 ისკო (70)

**ესპანეთი:** დე ხეა, კარვახალი (ასპილიკუეტა 75), რამოსი, ნაჩო, ბუსკეტსი (როდრი ერნანდესი 59), საული (ალკანტარა 65), გაია, ასენსიო, სებალიოსი, ისკო, როდრიგო

ხორვატია: კალინიჩი, ვიდა, პივარიჩი, ვრსალკო (როგი 20), მიტროვიჩი, მოდრიჩი, რაკიტიჩი, პერიშიჩი, ბროზოვიჩი (პიაცა 62), კოვაჩიჩი, სანტინი (ლივაია 71)

ვერ დაგვიტოვა ხორვატიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საფინალო გუნდის შთაბეჭდილება და მოსალოდნელი იყო, რომ ჩავარდნა დაეწყებოდა, მაგრამ ასეთ განადგურებასაც არ ველოდით.

არადა, დებიუტში ხორვატია უკეთ გამოიყურებოდა და 3 ჩინებული მომენტიც ჰქონდათ, რომ ანგარიში გაეხსნათ, მაგრამ მომენტები გაანიავეს. აი, ესპანელებმა კი ყველაფერი იდეალურად გამოიყენეს – მეტოქეს მომენტების გამოუყენებლობა არ აპატიეს და თავად 5 დარტყმიდან ხუთივე გოლად აქციეს. ეს საწყის 5 გოლზეა საუბარი...

ანგარიში საულმა გახსნა, რომელმაც კარვახალის ფლანგური გამჭოლი პასი კარგად ჩაკეტა. მალევე კოვაჩიჩის შეცდომა ასენსიომ გამოიყენა და წავიდაა... ესპანელებმა სრული კონტროლი დაამყარეს თამაშზე. მესამე გოლი უკვე ასენსიოსი იყო, მაგრამ ხორვატთა მეკარეს ჩაეთვალა – ესპანელმა საჯარიმოს გარედან გაისროლა. ბურთი ხარიხას მოხვდა, შემდეგ კალინიჩს და კარში შევარდა.

მეორე ტაიმის დებიუტში ჯერ როდრიგო დარჩა მეკარესთან პირისპირ და მეოთხე გაიტანა, ხოლო ასენსიოს კუთხურის შემდეგ ბურთმა რამოსის თავი მოძებნა და მეხუთედაც შევარდა კარში. ბოლოს ისკოს ჯერიც დადგა, რომელმაც იმავე ასენსიო პასის შემდეგ ანგარიშს საჩოგბურთო სახე მისცა.

ესპანელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მით უფრო, რომ ხორვატებმა მესამე გოლის შემდეგ ფარ-ხმალი დაყარეს. საერთოდაც, ხორვატებმა ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი განიცადეს.

**ლიგა ა. 2 ჯგუფი**

**ისლანდია-ბელგია 0:3**

**რეიკიავიკი.** ლაუგარდალსვოლიური

0:1 აზარი (29პ), 0:2, 0:3 ლუკაკუ (32, 81)

ერთა თასი ისლანდიელთათვის არასასურველი ტურნირი გამოდგა. კუნძულელები ჯერ შვეიცარიასთან განადგურდნენ (0:6), ამჯერად კი, შინ, 0:3 წააგეს ბელგიის ეროვნულ გუნდთან. თანაც ისე, რომ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორებს წამითაც არ დაუყენებიათ ეჭვის ქვეშ თავისი უპირატესობა.

ისლანდია მხოლოდ ორივე ტაიმის დასაწყისის საწყის 2-3 წუთში აქტიურობდა და სულ ეს იყო – კურტუა მთელი მატჩის განმავლობაში მოწყენილი უყურებდა თუ როგორ აგორებდნენ ბურთს მისი თანაგუნდელები. ბელგია აკონტროლებდა ბურთს, ტერიტორიას, ტემპს... თავქუდმოგლეჯილებიც არ უტევდნენ, მშვიდად, კლასიკურ სტილში მიიყვანეს საქმე 3 ქულამდე...

ანგარიში ედენ აზარმა პენალტით გახსნა, შემდეგ კი, რომელუ ლუკაკუმ დუბლი გაიფორმა და ბელგია ჯგუფში ლიდერია...

**ლიგა ბ. 3 ჯგუფი**

**ბოსნია-ავსტრია 1:0**

**ზენიცა.** ბილინო პოლიე

1:0 ჯეკო (78)

ბოსნია ჰერცოგოვინამ ზედიზედ მე-2 გამარჯვება იზეიმა და ორივე მეტოქეს 6-ქულიანი ჰანდიკაპით უსწრებს. ერთია, ავსტრიასა და ჩრდილოეთ ირლანდიას ერთმანეთში სათამაშო აქვს. თუმცა, ბოსნიელებს უკვე სერიოზული ნაბიჯი აქვთ გადადგმული ჯგუფის მოსაგებად.

ამაში კი, მასპინძლებს ედინ ჯეკოს გვიანი გოლი დაეხმარა.

**ლიგა ც. 2 ჯგუფი**

**უნგრეთი-საბერძნეთი 2:1**

**ბუდაპეშტი.** გროუპამა არენა

1:0 ზალაი (15), 1:1 მანოლასი (18), 2:1 კლეინჰეისერი (43)

ორივე გუნდი განსხვავებული ქულებით შეხვდა ერთმანეთს და მატჩის შემდეგ სატურნირო ცხრილში თანაბრად არიან.

ბერძნებმა წინა ტურში სტუმრად მოუგეს ესტონეთს, უნგრელებთანაც ბევრს ეცადნენ, შინ უქულოდ არ წასულიყვნენ, ზალაის გოლს მანოლასის ზუსტი დარტყმით უპასუხეს, მაგრამ კლეინჰეისერის გოლის შემდეგ დავალება ვერ შეასრულეს.

**ფინეთი-ესტონეთი 1:0**

**ტურკუ.** ვერიტასი

1:0 პუკი (12)

ფინელები ჯგუფში გალიდერდნენ. სკანდინავიელებმა ჯერ უნგრეთის ნაკრებს მოუგეს, ახლა მეზობელ ესტონეთს და ქულადაუკარგავად ხვდებიან ოქტომბრის მატჩებს.

მატჩის დასაწყისში პუკის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**ლიგა დ. 2 ჯგუფი**

**სან მარინო-ლუქსემბურგი 0:3**

**სერავალე.** ოლიმპიკო

0:1 კანოტი (9), 0:2 იოახიმი (45), 0:3 სინანი (52)

ამ ჯგუფში ბევრი ფავორიტად ბელარუსის ნაკრებს მიიჩნევდა, მაგრამ ლუქსემბურგის ეროვნული გუნდი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი. ბენოლუქსელებმა ჯერ მოლდოვა გაანადგურეს, ამჯერად დესერტად სან მარინო მიაყოლეს და სერიოზული განაცხადი გააკეთეს ჯგუფის მოსაგებად.

**მოლდოვა-ბელარუსი 0:0**

**კიშინიოვი.** ზიმბრუ

ყოფილი პოსტსაბჭოური გუნდების მატჩი არცთუ თვალსასეირო გამოდგა. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. ვერც იმას ვიტყვით, რომელიმე გუნდი მოგებას იმსახურებდაო – ფრე ლოგიკური შედეგია.

## უეფას ახალი შანსი საქართველოს




მოკლედ უეფა ყველაფერს აკეთებს საქართველოსთვის. ჯერ იყო და ერთა ლიგა მოიგონა, საიდანაც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი გვაქვს, ახლა არის და ახალი ევროტურნირის დაწყებას აპირებს.

რანგით მესამე საკლუბო ევროტურნირის ჩატარებაზე მსჯელობა დაწყებული იყო. საბოლოოდ კი, ევროპული კლუბების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასოციაციის პრეზიდენტმა ანდრეა ანიელიმ, რომელიც ასევე იუვენტუსის მფლობელია, დაადასტურა, რომ უეფამ ახალი ტურნირის ჩატარება მოიწონა და მხოლოდ ფორმალური დეტალებია დარჩენილი.

ამ გადაწყვეტილებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა არსენალის სპორტულმა დირექტორმა ივან გაზიდისმა, რომელიც ანიელისთან ერთად, ევროპული კლუბების ასოციაციას 17 წევრიან უეფას აღმასრულებელ კომიტეტში წარმოადგენს.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის შემდეგ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, ახალი საკლუბო ევროტურნირის დაწყება 2021-22 წლების სეზონიდან იგეგმება. დაახლოებით ასეთივე ტურნირი ბოლოს თასების მფლობელთა თასი გახლდათ, რომელიც 1960-დან 1999 წლამდე ტარდებოდა. სწორედ ეს ტურნირი მოიგო თბილისის დინამომ 1981 წელს. თუმცა მაშინ, თასების მფლობელთა თასი გაცილებით პრესტიჟული იყო, 90-იანი წლების მეორე ნახევარში კი, მნიშვნელობა დაკარგა, რადგან წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე კლუბების რაოდენობამ მოიმატა.

ახალ ტურნირს თასების მფლობელთა თასთან საერთო არაფერი ექნება. ახალ ტურნირსაც იგივე რომ არ დაემართოს, ევროპალიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდება.

ანიელის თქმით, გეგმა ასეთია: სამივე ევროტურნირზე ჯამში 96-მა კლუბმა უნდა იასპარეზოს და თითოეულ მათგანს 32 მონაწილე ეყოლება. შეგახსენებთ, რომ ახლა ევროპალიგაზე 48 გუნდი ასპარეზობს. სწორედ ეს ეს ფაქტი გამოიწვევს ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე გუნდების რაოდენობა შემცირებას.

ახალი ევროტურნირის ზუსტი ფორმატი და სახელწოდება ჯერ უცნობია. საბოლოო გადაწყვეტილება უეფას აღმასრულებელმა კომისიამ უნდა მიიღოს, რომელიც ამ საკითხს 2018 წლის დეკემბერში, იმავე დღეს განიხილავს, როცა ერთა ლიგის ფინალური რაუნდის მასპინძელი ქვეყნები უნდა გაირკვეს.

უეფას პრეზიდენტი ალექსანდერ ჩეფერინის მიზანია, ახალი ტურნირით სუსტი საფეხბურთო ქვეყნების სურვილი დააკმაყოფილოს, რომელთა კლუბები ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპებზე ვერ ხვდებიან.

სწორედ ეს იქნება შანსი ქართული კლუბებისთვის, იასპარეზონ ევროტურნირზე. უახლოეს დღეებში უეფაში იმსჯელებენ, როგორ უნდა მოხვდნენ კლუბები ახალ ევროტურნირზე და რომელ ქვეყანას რამდენი წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# შირერი რეშფორდის მანჩესტერში განვითარებას ვერ ხედავს



ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელი ალან შირერი მიიჩნევს, რომ თუ მარკუს რეშფორდი „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩება და ამ ფორმაციის მანჩესტერ იუნაიტედის ღირსებას დაიცავს, დიდი თავდამსხმელი ვერასდროს გახდება.

**ალან შირერი:**

– გამომდინარე იქიდან, რომ ბელგიელი შემტევი რომელუ ლუკაკუ ფორმაშია და სწორედ ის იკავებს გუნდში მთავარი თავდამსხმელის ადგილს, რეშფორდი ვერ შეძლებს ამ პოზიციაზე ძირითადი ადგილის დაკავებას. სანამ ჟოზე მოურინიო იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის პოსტზეა, არა მგონია გუნდმა 2 თავდამსხმელით ითამაშოს. ამასთან, ლუკაკუს არყოფნის შემთხვევაში, მის ადგილს არა რეშფორდი, არამედ სანჩესი დაიკავებს. საინტერესოა, შეძლებს საერთოდ მარკუსი მოურინიოს გუნდში სათამაშო დროის მიღებას, თუ მოურინიოს ახალი თავდამსხმელი სურს? რეშფორდი დიდი ხნის მანძილზე თამაშობდა ვინგერის პოზიციაზე, ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ დაუბრუნდება მის ნამდვილ სათამაშო პოზიციას. მე არ ვურჩევ რეშფორდს „ოლდ ტრაფორდის“ დატოვებას, მანჩესტერი შესანიშნავი გუნდია, მაგრამ თუ მას სურს გახდეს დიდი თავდამსხმელი, ეს ამ შემადგენლობაში არ მოხდება. მან უნდა აირჩიოს ის კლუბი, სადაც მთავარი შემტევი ძალა თვითონ იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვხედავ იმას, რომ ის იბრძოლებს ბომბარდირობისთვის.

ამასობაში კი, იუნაიტედში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა ხვდება გუნდშიც და გუნდს გარეთაც, რომ კლუბს ახალი სისხლი ესაჭიროება, როგორც ახალი მწვრთნელის სახით, ასევე ფეხბურთელების სახითაც. არსებობს სტერეოტიპი, რომ იუნაიტედისთვის არ არსებობს მიუწვდომელი ფეხბურთელი და სხვა გუნდებიც ამით სარგებლობენ, ფეხბურთელს ორმაგ და სამმაგ ფასს ადებენ, მისი რეალური ფასის მაგივრად.

არსებობს პროგნოზები და წინასწარმეტყველებები, რომ 2019 წლის ზაფხულში გუნდში დიდი ცვლილებები იქნება. შეიძლება შეიცვალოს სპორტული დირექტორი, მწვრთნელი, ასევე შეიძლება გუნდმა დათმოს ერთ-ერთი ლიდერი პოლ პოგბა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ყველა გუნდი ცდილობს შეინარჩუნოს ლიდერები, რომ მათი წამყვანის ფეხბურთელებით არ დაიწყოს იუნაიტედმა ახალი გუნდის მშენებლობა.

სწორედ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად იტალიურმა ინტერმა დამატებით გაუხანგრძლივა კონტრაქტები მის ლიდერებს მაურო იკარდის და მილან სკრინიარს. ორივე ფეხბურთელს კონტრაქტი 2021 წელს ეწურებოდა, თუმცა ინტერის მესვეურები პირდაპირი გაგებით პანიკაში არიან, რომ იუნაიტედი მათ ლიდერებზე ინადირებს.

იტალიური მედია წერს, რომ მილანელები სერიოზულად ეკიდებიან მათ სამომავლო გეგმებს და საკმაოდ ძლიერი გუნდის მშენებლობაც დაიწყეს, რაჯა ნაინგლოანის ტრანსფერის სახით, თუმცა მათი შიში იუნაიტედთან დაკავშირებით მართლაც, რომ კომიკურია და სიამაყით ავსებს „ეშმაკების“ გულშემატკივრებს, რადგან მათი საყვარელი გუნდი კარგი თუ ცუდი ფორმის მიუხედავად, იდეაშივე იტალიურ გრანდზე დიდი რეპუტაციით სარგებლობს.

# ქურდებმა საიუველირო მაღაზია მცველების თვალწინ გაქურდეს



– ჩინეთის გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიური რაიონის ქალაქ ლაიბინში საიუველირო მაღაზიიდან მილიონობით იუანის ძვირფასეულობა გაიტაცეს, – იუწყება ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა.

ქურდობა ღამით მოხდა. ქურდებმა ცარიელ სარდაფში შეაღწიეს, გასასვლელი გაიყვანეს კედელში, რომელიც მას ახალ სავაჭრო ცენტრში მდებარე მაღაზიიდან გამოყოფდა. მათ ამ გზით შენობაში შეღწევის შემდეგ სათვალთვალო კამერების მავთულები გადაჭრეს, ვიტრინები დააცარიელეს და მიიმალნენ.

ქურდობის დროს მაღაზიაში მცველი იმყოფებოდა. ის შემოსასვლელ კარს დარაჯობდა და არ შეუნიშნავს, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. მაღაზიიდან თითქმის მთელი საქონელი გაიტანეს, ძირითადად – ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები. იატაკში გაკეთებული ხვრელი მხოლოდ მეორე დილით აღმოაჩინეს.

ზარალის ოდენობა ექვს მილიონ იუანს აღემატება. პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო.

# დუნდულების გადიდება სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდა



დუნდულების გადიდების პოპულარული პროცედურა რაზილიან ბუმ-ი სიცოცხლისთვის საშიში აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემამ ორი ქალის ბედზე ისაუბრა, რომელთაგან ერთ-ერთი პროცედურის შემდგომ საშინელ შედეგებს გადააწყდა, ხოლო მეორე დაიღუპა. პირველი დაზარალებული საერთაშორისო ლატარიის ევრომილიონის 21 წლის გამარჯვებული ჯეინ პარკია. მას სეფსისი პროცედურის დროს დაშვებული შეცდომის შედეგად დაემართა.

– ეს ჯოჯოხეთური სატანჯველია. ვიცი, რომ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ეს აუტანელია, – განაცხადა გოგონამ.

მეორე ქალი – სამი შვილის დედა ლეა კემბრიჯი – პირდაპირ პროცედურის დროს დაიღუპა, რომელიც 29 აგვისტოს თურქეთში გაუკეთდა. მისი დაღუპვის ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია.

– რამდენიმე დღის წინ სრულიად ბედნიერი ვიყავი. ახლა კი განადგურებული ვარ, სამუდამოდ. უდიდეს ტკივილს განვიცდი, არადა ეს მხოლოდ დასაწყისია. ფაქტიურად ჩემი ცხოვრება დასრულდა, – განაცხადა გარდაცვლილის მეუღლემ, 31 წლის სკოტ ფრენკსმა.

პროცედურა რაზილიან ბუმ-ი ოთხ ეტაპად მიმდინარეობს, ყოველი მათგანის ღირებულება დაახლოვებით 260 დოლარს შეადგენს. მისი შემმუშავებლების მტკიცებით, აღნიშნული პროცედურა ემსახურება არა მხოლოდ დუნდულების გადიდებას, არამედ კანის ელასტიკურობას ზრდის და აშორებს დაჭიმულობასა და ცელულიტს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# დრაქსლერი პარიზში კომფორტულად მოეწყო



გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ პარი სენ-ჟერმენის ნახევარმცველი იულიან დრაქსლერი, ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში, მიუნხენის ბაიერნის შესახებ საუბრობს. 24 წლის ფეხბურთელის განცხადებით, მას მიუნხენური კლუბის წარმომადგენლებთან არანაირი საუბარი არ ჰქონია და ამ ყველაფერს მორიგი ჭორები უწოდა.

**იულიან დრაქსლერი:**

– მიუნხენის ბაიერნის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების პროცესი არასდროს მიწარმოებია, ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორებია. როგორ რეაგირებას მოვახდენდი მიუნხენელთა შემოთავაზებაზე? ალბათ, კატეგორიულ უარს არ ვიტყოდი, თუმცა იმასაც გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი მიმეტოვებინა ამ გუნდისათვის. ეს როგორც არ უნდა იყოს, ახლა ამაზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. პარი სენ-ჟერმენის რიგებში დიდი კონკურენციაა, განსაკუთრებით ჩემს პოზიციაზე, სადაც ასპარეზობა შეუძლიათ კილიან ბამპესა და ნეიმარს. ეს მსოფლიოს 2 საუკეთესო ფეხბურთელია, ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სწორედ ასეთები იქნებიან მომავალში. გასულ საფეხბურთო სეზონში მე 47 თუ 48 მატჩი ჩავატარე, ვფიქრობ, მიმდინარე სეზონშიც ამ რაოდენობის შეხვედრებს გავმართავ. მომწონს ეს კლუბიც და ქალაქიც. პსჟ-ში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, სწორედ ამიტომ ვერ ვხედავ აზრს განვიხილო კლუბის შეცვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა ვარიანტები.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი

## 13 სექტემბრისათვის



**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **კურო** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **ტყუპები** – მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ეცადეთ, ყველა საქმე დაამთავროთ და ახალი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოთ. ქალაქიდან გასვლას ვარსკვლავები დღეს არ გირჩევენ. **კირჩხიბი** – ერიდეთ საქმის გარჩევებს. უმჯობესი იქნება, თუ კონფლიქტურ გარემოს საერთოდ გაეცლებით. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღებით მოეპყარით. **ლომი** – მძიმე დღეა. დაძაბულობას მხოლოდ მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებთან კონტაქტი მოგიხსნით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ქალწული** – საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს წვრილმანი საკითხები მოაგვარეთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. **სასწორი** – მშვიდად იმუშავეთ. გრძელვადიან გეგმებს ნუ დასახავთ. დაიცავით კვების რეჟიმი. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირველი ნახევარი იღბლიანია ახალი ურთიერთობების დასაწყებად. საღამოს პარტნიორთან კონფლიქტს ელოდეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ბავშვების ინტერესები გაითვალისწინეთ. **თხის რქა** – შესაძლოა მოულოდნელად გამგზავრება მოგიხდეთ. ინტიმურ სფეროში აქტიურობას პლანეტები არ გირჩევენ. **მერწყული** – კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისათვის. ოჯახურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ. შემოთავაზებულ წინადადებებზე უარს ნუ იტყვით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 2. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. ესპანეთის ლიგაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 4. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი – დეტექტივი; 5. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 8. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 12. იაპონური მოტოციკლეტი; 14. ფრანგი მხატვარი; 16. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. უბანი ძველ თბილისში; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 11. ძველებური სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 13. ვარსკვლავთა კრებულის ქართული სახელწოდება; 15. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 17. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 18. ფერადი საქარგავი ძაფი; 19. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ზუროსი; 2. კვაზარი; 3. პოინტერი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. პანკისი; 12. იენი; 14. ორლი; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 21. ნოკია.

**თარაზულად**: 5. ბოქსიორი; 6. პარაბოლა; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. პანედა; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. ბატატი; 22. პროვიზორი; 23. ბილბორდი; 24. ცირეკიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ქაფშია; 2. იოდი; 3. სეფედროშა; 4. ნივეა; 5. მანტისა; 8. აცტეკა; 9. პალესტინა; 12. გაზეთი; 14. ასკანა; 16. იბიცა.

**თარაზულად**: 1. ქიმერიონი; 6. ნემეზიდა; 7. შეპარდი; 9. პანედა; 10. ლაპი; 11. ფეოდალი; 13. ლხასა; 15. სალაჰი; 17. ბალზაკი; 18. შეკელი; 19. აფონია; 20. ბავარია.

# გიორგი მეგრელიშვილი ეროვნულ კინოცენტრს აკრიტიკებს



მსახიობი და რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი ეროვნულ კინოცენტრს აკრიტიკებს. კრიტიკის მიზეზი ოსკარისთვის შერჩეული ის ფილმებია, რომლებიც წლებია ამერიკული კინოაკადემიის დაჯილდოებაზე იგზავნება, მაგრამ უშედეგოდ.

წელს გიორგი მეგრელიშვილი ოსკარზე წარსადგენი ქართული ფილმის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა თავისი ფილმით „შექსპირი“, თუმცა სპეციალური კომისიის რჩეული ვერ გახდა. როგორც რეჟისორმა განაცხადა, იგი ოსკარზე მოსახვედრად ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმს „ექვთიმე ღვთისკაცს“ გულშემატკივრობდა.

გიორგი მეგრელიშვილი:

– კინოცენტრს დაგიდებთ იმ ფილმების სიას, რომელიც გაგზავნილი გაქვთ 10 წლის განმავლობაში ოსკარებზე და იმ სიას, ვინც იყვნენ ჟიურის წევრები და აგიხსნით, თუ რატომ არ ხვდება „თქვენი“ ფილმები შორთ ლისტში.

და ყოველ წელს რომ ამტკიცებთ, „ჩვენს“ მიერ შერჩეული ფილმი აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. თქვენი „საოჯახო“ „სანათესაო“ კორპორაცია მგონი უკვე დროა, რომ გაუქმდეს, ან შეიცვალოს ალტერნატიული გზით!

# თბილისში ბოშური კულტურის ფესტივალი ჩატარდება



14 და 15 სექტემბერს თბილისში ბოშური კულტურის ფესტივალი ჩატარდება, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაეცნონ ბოშური კულტურის სიმდიდრეს, მოისმინონ საინტერესო ამბები ბოშათა ტრადიციების და წეს-ჩვეულებების შესახებ, მოუსმინონ და უყურონ ბოშურ ცეკვებს და რომანსებს, დაესწრონ სემინარს და კონფერენციას თემაზე: ბოშათა კულტურის, ტრადიციების და მდგომარეობის შესახებ თანამედროვე საზოგადოებაში.

ფესტივალი ლიტერატურის მუზეუმში ორგანიზაცია „განიარაღება და არა ძალადობა“-ს ორგანიზებით ჩატარდება.

ნინო ბაშარული, მომღერალი:

– ეს ხალხი უძველესი ისტორიის და წეს-ჩვეულებების მქონე ხალხია. მათი ათასწლეულთა მანძილზე არსებობა ამტკიცებს იმას, რომ ხალხთა კულტურა და ტრადიცია არასოდეს კვდება! ანუ ეს იმას ნიშნავს, ჩვენც არ გადავშენდებით! მადლობა კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სპორტის სამინისტროს ამ პროექტის მხარდაჭერისთვის! მადლობა, რომ ასე ზრუნავთ ამ საოცარი და ნიჭიერი გენის მქონე ხალხზე!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მარიკა ლორთქიფანიძის სახელი მიენიჭა



თბილისში, საბურთალოზე, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებულ უსახელო ქუჩას 95 წლის ასაკში გარდაცვლილი აკადემიკოსისა და ისტორიკოსის მარიკა ლორთქიფანიძის სახელი მიენიჭა.

ინფორმაცია ვატო შაქარიშვილმა გაავრცელა:

– მოხარული ვარ, რომ მარიამ ლორთქიფანიძის სახელი სწორედ საბურთალოს რაიონში არსებულ ქუჩას მიენიჭა.

მარიამ ლორთქიფანიძე არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1993 წლიდან.

მის სახელს უკავშირდება საქართველოს არაერთი წარმატებული თაობის აღზრდა.

1988 წელს მარიამ ლორთქიფანიძეს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, ხოლო ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მას მიანიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი 2000“.

# მარკუს მეტრეველი ლუი ვიტონის მოდის სახლში მიიწვიეს




მოღერალმა მარკუს მეტრეველმა ცოტა ხნის წინ ფართო საზოგადოებას დიზაინერის ამპლუაში წარუდგინა თავი და მის მიერ შექმნილი კოლექციის ჩვენებაც მოაწყო. მისმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა და საქართველოს ფარგლებსაც გასცდა.

მარკუსმა ინტერნეტში გამოაქვეყნა მიწვევა, სადაც წერია, რომ ქართველი ხელოვანი ლუის ვიტონის მოდის სახლმა მიიწვია:

– ვერ ვაზროვნებ!

როდესაც მეილს ხსნი და მოწვევა გხვდება ლუი ვიტონის მოდის სახლიდან! მაინტერესებს, რა უნდა ქნა?

ისე, ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, მაგრამ ეს არის გვირგვინი! აუ! შოკში ვარ!

# ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტები ცნობილია



ლიტერატურული პრემია „საბას“ ჟიურიმ „საუკეთესო ქართული თარგმანის“ ნომინაციის ფინალისტები დაასახელა. 109 საკონკურსო წიგნიდან 12 ფინალისტი გამოვლინდა. კონკურსის 10 ნომინაციიდან, 6 ნომინაციის ფინალისტები უკვე ცნობილია. რაც შეეხება დანარჩენ 4 ნომინაციას, მათი გამარჯვებული, ფინალისტების დასახელების გარეშე, უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიაზე დასახელდებიან.

პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონია 12 ოქტომბერს, ფრანკფურტის მერიის ისტორიულ დარბაზში გაიმართება.

ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი „საბა“ თიბისიმ 2003 წელს დააფუძნა. წელს „საბას“ კონკურსი მეთექვსმეტედ ჩატარდება და ეს წელი პრემიის ისტორიაში განსაკუთრებული იქნება.

## კალეიდოსკოპი

# ორმა გამვლელმა ფანჯრიდან გადმოვარდნილი ბავშვი გადაარჩინა



ჩინეთში გამვლელებმა ფანჯარაში გადმომძვრალი გოგონა გადაარჩინეს. ისინი ამისთვის შენობის ფასადის მეოთხე სართულზე აძვრნენ.

ინციდენტი ცზიანსუს პროვინციის ქალაქ ჩანშუში მოხდა. დაახლოებით ორი წლის გოგონა სახლში მარტო იმყოფებოდა. დედამ ის დასაძინებლად დააწვინა და თავად საქმეებზე წავიდა. ბავშვს გაეღვიძა, ფანჯარა გააღო და იქიდან აივანზე გადაძვრა. გოგონა ხელებით მოაჯირზე იყო ჩაფრენილი და დაახლოებით ცხრა მეტრის სიმაღლეზე მყოფი თავს ძლივს იმაგრებდა, ძირს რომ არ ჩამოვარდნილიყო.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი გოგონა გამვლელებმა შენიშნეს. ორი მათგანი ბავშვის გადასარჩენად დაუყოვნებლივ შეუდგა მილის გამოყენებით ზევით აძრომას, შემდეგ მოაჯირებისა და კონდიციონერების გამოყენებით ბავშვამდე ორ წუთზე ნაკლებ დროში მიაღწიეს.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ქალაქის პოლიციის განყოფილებამ გამოაქვეყნა და გამვლელებს, რომელთაც ბავშვი გადაარჩინეს, მოუწოდეს მათთან გამოცხადებულიყვნენ. ერთ-ერთი 33 წლის ჩჟუ ცზულინი, ხოლო მეორე 44 წლის უ ცინსიანი აღმოჩნდნენ.

გოგონას მამამ მათ მადლობა გადაუხადა, ხოლო ქალაქის ხელისუფლება მათ დაჯილდოებას აპირებს.

# მასწავლებელმა თავი მოიმკვდარუნა და მოძალადე შეაშინა



ტაილანდელმა მასწავლებელმა თავი გარდაცვლილად გაასაღა, რათა მის სახლში შეღწეულ მძარცველს არ გაეუპატიურებინა.

ინციდენტი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სისაკეტის პროვინციაში დილით ადრე მოხდა. ძლიერი წვიმა მოდიოდა და ქალი სახლში მარტო იმყოფებოდა, როდესაც მძარცველი მის საძინებელში შეიჭრა. მან ქალს პირზე ხელი ააფარა და მუშტი სამჯერ ჩასცხო მუცელში, ამის შემდეგ კი მის გაშიშვლებას შეეცადა.

– შევეცადე ძალები და გონება მომეკრიბა. მის თავიდან მოცილებას ვცდილობდი, მაგრამ ის ძალიან დიდი და ძლიერი იყო, ამიტომ გადავწყვიტე წინააღმდეგობა აღარ გამეწია და თავი მომემკვდარუნებინა, – განაცხადა ტაილანდელმა მასწავლებელმა.

როდესაც ქალმა წინააღმდეგობის გაწევა და სუნთქვა შეწყვიტა, მოძალადე პანიკამ მოიცვა და გაიქცა.

– როგორც კი მივხვდი, რომ ის წავიდა, გარეთ გამოვვარდი და მომხდარის შესახებ მეზობლებს გავაგებინე. ნათესავებმა პოლიციაში წამიყვანეს და იქ განცხადება დავწერე, – დაამატა ქალმა.

პოლიციელებმა გარე სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეისწავლეს, რათა ეჭვმიტანილის მიგნება მოახერხონ. მათი აზრით, დამნაშავე შესაძლოა იქვე სადმე ახლოს ცხოვრობდეს.

# ფეხმძიმე პატარძალი და სიძე ქორწილის დღეს ავარიაში მოყვნენ



დიდ ბრიტანეთში ფეხმძიმე პატარძალი და სიძე საკუთარი ქორწილის დღეს ავარიაში მოყვნენ და დღის უმეტესი ნაწილი საავადმყოფოში გაატარეს.

ჩელსი და შეინ ჰარვების ქორწილი რამდენიმე თვის წინ გაიმართა. ცერემონიის შემდეგ ისინი, ფულის ეკონომიის მიზნით, საკუთარი მანქანით წავიდნენ რესტორანში, მაგრამ ცუდი ამინდის გამო გზის სველ მონაკვეთზე მათი ავტომობილი გადაბრუნდა. სიძის მეჯვარემ დაუყოვნებლივ დარეკა სამაშველო სამსახურში.

– ჩემი მთავარი პრიორიტეტი ბავშვი იყო. მანქანიდან გადმოვედი და ყვირილი დავიწყე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. სანამ ექიმები მოვიდოდნენ, ვიჯექი და ერთიანად ვცახცახებდი, – გაიხსენა ჩელსიმ.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა სიძეს ალკოჰოლზე ტესტი ჩაუტარეს, მოგვიანებით კი ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. პატარძალს კვლევა ჩაუტარეს იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ახლად შეუღლებულები დაჟეჟილობებით გადარჩნენ, ბავშვი არ დაშავებულა.

სამი საათის შემდეგ სიძე-პატარძალი, როგორც იქნა, რესტორანში მივიდნენ, მაგრამ ორი საათიც არ იყო გასული, რომ ჩელსის ექვსი წლის გოგონა იზაბელი მაგიდას დაეჯახა და წარბი გაუსკდა. გამოძახებაზე იგივე სასწრაფო დახმარების ბრიგადა მივიდა. მათ ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ნაკერები დაადეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილი კიდევ ერთი წვეულების გამართვას გეგმავს, რომელზეც თავიანთი ახალდაბადებული გოგონა ემიკიც იქნება.

ამ ყოველივეს შემდეგ რესტორნის მფლობელი დათანხმდა, რომ ჩელსი და შეინ ჰერვების წყვილს თავისი დაწესებულება უფასოდ დაუთმოს. ასევე უფასოდ მომსახურებაზე დათანხმდა ფოტოგრაფიც, ხოლო დიჯეიმ სოლიდურ ფასდაკლებაზე განაცხადა თანხმობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო

## მეგობრის მონატრება



14 სექტემბერს ორმოცი დღე მიილია მისი გარდაცვალებიდან. ჭეშმარიტად მწამს, რომ ის ჩვენი წასული უსაყვარლესი ადამიანების გვერდით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს სულიერ სივრცეში.

... და წავიდა ასე მოულოდნელად, წყნარად, თავისებურად ლამაზად, ისე, როგორც იცხოვრა.

ის იყო წარმოსადეგი, მოხდენილი, უღალატო, ნამდვილი რაინდი, მოკრძალებული, კეთილი. ამიტომაც თან გაიყოლა ბევრი წმინდა კურცხალი. იყო გურიის, ჩოხატაურის ერთ-ერთი თვალწარმტაცი, ისტორიული სოფლის საკურთხევლის (საჭამიასერი) მკვიდრი – **ლუკა ხუნდაძე.**

სიცოცხლეზე მეტად უყვარდა დედა-საქართველო და თითოეული ჩვენთაგანი.

აკი ამბობდა:

სიკვდილს დავუჯდები პურ-მარილზე,
სიცოცხლეს გავატან ქარს,
თვალებში ჩაგხედავ, გეტყვი მიყვარხარ!
და ჩუმად გავიხურავ კარს.
გაიხურა და წავიდა...

**ვანო ვაჩეიშვილი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

13 სექტემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6017
- ევრო — 3.0138
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3905
- 100 რუსული რუბლი — 3.7062

**ამინდის პროგნოზი**
13 სექტემბრისთვის




## ყოფილი „მის სამყარო" გარდაიცვალა



1995 წლის სილამაზის კონკურსის „მის სამყაროს" გამარჯვებული ჩელსი სმიტი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

გარდაცვლილის ოჯახის წარმომადგენლის ცნობით, მისი გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის კიბო გახდა, რომელიც მას 2017 წლის გაზაფხულზე დაუდგინეს. ის პენსილვანიის შტატში დედის სახლში გარდაიცვალა.

სმიტმა სილამაზის კონკურსში მონაწილეობა პირველად 1994 წელს მიიღო. მაშინ მან გალვესტონის ოლქის ყველაზე ლამაზი გოგონას ტიტული მიიღო. ამის შემდეგ ის ტეხასის შტატის ულამაზესი გოგონას ტიტულსაც დაეუფლა, შემდეგ კი „მის ამერიკის" კონკურსის გამარჯვებული გახდა.

გოგონას ახლობლების თქმით, სმიტი ერთადერთ მულატად რჩება, რომელმაც სამივე შიდა ამერიკული კონკურსი მოიგო. ის ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუებში ყოველთვის ხაზს უსვამდა საკუთარ წარმომავლობას. ამით ის აღნიშნავდა, რომ კანის ფერი ნაკლს არ წარმოადგენდა.

სმიტის ოჯახი სახალხო პანაშვიდის გამართვას ოქტომბერში გეგმავს. მათ გაავრცელეს განცხადება, რომელშიც მას „მთელი მსოფლიოს გოგონებისთვის სამაგალითო" უწოდეს.

## დედოფალმა მეგან მარკლს სამკაულები გაუნაწილა



სამეფო ოჯახის თაყვანისმცემლებმა მეგან მარკლზე მარგალიტის და ბრილიანტისთვლებიანი საყურეები შენიშნეს მძიმედ დაავადებული ბავშვების გადასარჩენად მებრძოლებისთვის პრემიის გადაცემის ცერემონიის დროს.

აღმოჩნდა, რომ სამკაული დედოფალმა ელისაბედ II-მ სასექსის ჰერცოგინიას საკუთარი კოლექციიდან აჩუქა. ექსპერტების თქმით, ბრილიანტისა და მარგალიტის კომბინაცია წარმატებასა და მფარველობას ნიშნავს, ხოლო თავად მარგალიტი სიწმინდის, დიდსულოვნების და სიბრძნის სიმბოლოს წარმოადგენს, ასევე იზიდავს კეთილდღეობას.

## ძველი რომის განძს მიაგნეს



არქეოლოგებმა ძველი რომის მონეტები აღმოაჩინეს ქალაქ კომოს კრესონის ყოფილ თეატრში, რომელიც მილანის ჩრდილოეთით მდებარეობს. ნაპოვნი განძი დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნით თარიღდება. ამ ინფორმაციას იტალიის კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული საქმიანობისა და ტურიზმის სამინისტრო ავრცელებს.

განძი შენობის სარდაფში ქოთანში იპოვეს. ისინი განეკუთვნებიან გვიანდელი რომის იმპერიის დროს, როდესაც ის ორ ნაწილად აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებად გაიყო და ბარბაროსების შემოსევებს განიცდიდა. მინისტრმა ალბერტო ბონისოლიმ დააზუსტა, რომ განძის კულტურული და ისტორიული ღირებულება ჯერ არ შეუფასებიათ.

მონეტები სარესტავრაციო ლაბორატორიაში გადააგზავნეს, სადაც მათ სპეციალისტები შეისწავლიან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განძის ფასმა შესაძლოა რამდენიმე მილიონი დოლარი შეადგინოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

კაცი მაღაზიაში გამყიდველს ეუბნება:
– „კილკის" კონსერვი მომეცით.
– სადაური გნებავთ, ბატონო, რუსული, ფრანგული თუ პორტუგალიური?
– შე ქალო, მაგას რას დაეძებ, კი არ უნდა ველაპარაკო...

•••

კაცი ქალს ეკითხება:
– თქვენი გაცნობა შეიძლება?
– მე ლესბოსელი ვარ.
– პრობლემა არაა, მეც ქალივით მოვიქცევი...

•••

ერთი დაქალი მეორეს უყვება:
– როდესაც იმ ყმაწვილმა გასაქანი აღარ მომცა და ხელების ფათური დამიწყო, ავდექი და პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი დანახვაც აღარ მსურდა.
– მერე, რა გიპასუხა?
– ადგა და სინათლე ჩააქრო...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩვენი ხელისუფლების ვერაფერი გამიგია...
– რას გულისხმობ?
– თუ დეპუტატი ხალხის მსახურია, მსახურს რაში სჭირდება ხელშეუხებლობა?

•••

სისხლის გადასხმის სადგურში მისული მამაკაცი ექიმს ეკითხება:
– ექიმო, რამდენი სისხლი უნდა გაიღოს ადამიანმა, რომ ერთი დღით სამსახურიდან გაათავისუფლონ?
– სამასი გრამი.
– და ერთი კვირით?
– მაგდენ სისხლს ერთ ჯერზე ვერ ჩააბარებთ.
– ჩავაბარებ, ექიმო, ჩავაბარებ.
– როგორ?
– სიდედრის სისხლი არ მენანება.

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:
– აბა, თავს როგორ გრძნობთ?
– შესანიშნავად, ექიმო, და კი მაგრამ, რა გამიკეთეთ?
– ძილის წამალი...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**ბოაი**

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენ ბუსინ ვან**
უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**
რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ოზურგეთის თეატრი თურქეთში სპექტაკლს ითამაშებს



ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი თურქეთში გასტროლით მიიწვიეს, სადაც მალტეთეს ფესტივალზე წარდგება.

14 სექტემბერს ოზურგეთის თეატრი 151-ე თეატრალურ სეზონს გასტროლით გახსნის. სტამბულში, მალტეპეს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, თეატრი სპექტაკლს ,,სათამაშო პისტოლეტი" წარადგენს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 2. ქართველი სუმოისტი; 3. სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალის გამოყენებით დროებით დაკავება; 4. მონასტერი თეთრი წყაროს რაიონში; 8. უძველესი ქართული თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული; 12. ჩაის ბუჩქის ახლად ამოსული ნორჩი ყლორტი; 14. ქართული გაზეთი; 16. ბეჭედში, ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 17. სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში; 19. ზღვრული ნორმა; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

**თარაზულად:** 5. მიწის სათხრელი მანქანა; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. სტადიონი მეხიკოში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ქალაქი იმერეთში; 18. პოემა „სტუმარ-მასპინძლის" პერსონაჟი; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. ხეხილის ჯიშების შემსწავლელი მეცნიერება; 23. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 24. პოლიციის განყოფილება იტალიაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

